სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 6 სექტემბერი 2003 №168 (1939) | ფასი 50 თეთრი





ჰაბიბ ბამოგომ კვიპროსს პირველი გაუტანა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი
შესარჩევი ეტაპები

I ჯგუფი
სლოვენია 1:2 ისრაელი
საფრანგეთი 2:0 კვიპროსი

II ჯგუფი
ბოსნია 1:3 ნორვეგია
რუმინეთი 2:0 ლუქსემბურგი

III ჯგუფი
ბელარუსი 1:0 ჩეხეთი
ჰოლანდია 0:0 ავსტრია

IV ჯგუფი
ლატვია 0:2 პოლონეთი
შვედეთი 6:0 სან მარინო

V ჯგუფი
ისლანდია 1:3 გერმანია

VI ჯგუფი
სლოვაკეთი 0:0 საბერძნეთი
უკრაინა 1:0 ჩრდ. ირლანდია

VII ჯგუფი
მაკედონია 1:1 ინგლისი
პორტუგალია 1:2 თურქეთი

VIII ჯგუფი
ბულგარეთი 1:0 ესტონეთი

IX ჯგუფი
იტალია 8:1 უელსი

X ჯგუფი
ირლანდია 2:0 რუსეთი

გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა
VI ტური
ზაარბრიუკენი 1:1 ლაუტერნი (მ)

საფრანგეთი
II დივიზიონი. VII ტური
ანჟე 2:0 ტრუა
შატორუ 1:3 კრეტეი
გენიონი 2:1 რუანი
ისტრი 2:0 კლერმონი
ლე ავრი 2:0 ბეზანსონი
ლორიანი 3:1 ამიენი
ნანსი 2:0 სედანი
ნიორი 0:3 კაენი
სტ. ეტიენი 1:0 ვალანსი

სლოვაკეთი
I ლიგა. VI ტური
ჟილინა 0:3 რუჟომბეროკი

ინგლისი
III დივიზიონი. VI ტური
კემბრიჯი 0:0 ლინკოლნი
ჩელტენჰემი 4:3 ნორთჰემპტონი

ჰოლანდია
II დივიზიონი. V ტური
დორდრეხტი 3:0 კამბური
ტელსტარი 2:1 ჰერაკლესი
სპარტა 3:0 ჰაარლემი
ვენლო 3:2 ეინდჰოვენი
ოსი 7:0 მაასტრიხტი
იგლსი 5:0 ვეენდამი
ჰელმუნდი 2:2 გრაავსხაპი

შვეიცარია
ჩემპიონატი. VIII ტური
შაფჰაუზენი 2:0 ფრ. დე ფონი
კრინსი 1:1 ვოლენი

ირლანდია
პრემიერლიგა. XX ტური
სტ. პატრიკსი 1:0 შემროკი
შელბურნი 3:1 დერი
ლონგფორდი 2:4 ბოჰემიანსი

რუსეთი
რუსეთის ლიგის თასი
ზენიტი 3:1 ტორპედო
ჩერნომორეცი 3:2 შინიკი

მხიარული ალბანელები სერიოზულად ურტყამენ
მათ იციან ჩვენი წარსული და... ეჰ, დღევანდელობაც



ბადრი ქუთელიას ფოტოები

ალბანეთის ნაკრების გუშინდელმა მინი-ლაითვარჯიშმა ერთ საათს გასტანა. ჰანს-პეტერ ბრიგელმა მსუბუქად დატვირთა შეგირდები, მერე კი „არწივებმა“ თავი ნახევარ მოედანზე გაჩაღებული ბურთაობით შეიქციეს. თითქმის ყველა სტუმარი სულმოუთქმელად ელის მათი საუკეთესო ფეხბურთელის, იგლი ტარეს ჩამოსვლას. როგორც ალბანელი ჟურნალისტებისგან შევიტყვეთ, ტარეს თბილისის ბილეთი უკვე აუღია და მას წუხელ ელოდნენ.

ვარჯიშისას ბრიგელი ქართველ ბიჭბუჭობას ავტოგრაფსაც მრავლად ურიგებდა და მათთან სურათის გადაღებაზეც არ ამბობდა უარს. ფეხბურთელებმაც წვრთნა სიცილ-ხარხარში გაატარეს. თუმც ვარჯიშის ბოლოს, კარში დარტყმების დრო რომ დადგა, გვარიანად შეაშფოთეს „ეროვნულზე“ შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებელი — დარტყმული ბურთების უმეტესობა „ჯიუტად“ შედიოდა კარში.

მალე სტუმრებმა მოედანი დატოვეს და იმ იმედით, რომ ჰანს-პეტერ ბრიგელი პრესკონფერენციისმაგვარს მაინც ჩაატარებდა, „ეროვნულის“ საპრესკონფერენციო ოთახს მივადექით, თუმც ეს იმედი მალევე გაგვიცრუვდა. არავითარი პრესკონფერენცია! მეჩქარებაო, მოგვიგო ბრიგელმა და შეგირდებთან ერთად ავტობუსში დურთა თავი.

ალბანელმა ჟურნალისტებმა კი „ეროვნულიდან“ გამოსვლისას კედელზე გამოკრულ სურათებსაც შეავლეს თვალი და... ეს ის „დინამოა“, 1981 წელს თასების თასი რომ მოიგოო, საქმის ცოდნით მოუთხრეს ხანშიშესულებმა ახალგაზრდა კოლეგებს ქართული ფეხბურთის აწ უკვე ისტორიულ წარმატებაზე.

ძახა შალამბერიძე

ჩვენი ჯგუფი

შვეიცარია	6	3	3	0	12:7	12
ირლანდია	6	3	1	2	9:8	10
რუსეთი	5	2	1	2	11:9	7
ალბანეთი	6	1	2	3	8:11	5
საქართველო	5	1	1	3	3:8	4

სტრაყოშაა: ეს იმ ფოტოს ფოტოა, მესამედ რომ ჩამოვიდა თბილისში

ფედერაცია და ყაზბეგი დაქმობილდნენ

გუშინ, ნაშუადღევს, „ეროვნულზე“ ვარჯიშიდან ბაზაზე დაბრუნებულ ნაკრებს კომპანია „ყაზბეგის“ პრეზიდენტი გოგი თოფაძე ესტუმრა. ჟორდანია-თოფაძის მოლაპარაკებამ ოფიციალურად დაამტკიცა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც „ყაზბეგი“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი გახდა.

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

საქართველო — ალბანეთი

F.S.H.F

თბილისი. ეროვნული. 6 სექტემბერი. 20 საათი

ნაკრებში კაცზე ქუდი გამოცხადდა

განსხვავებულზე უარის თქმა არ შეიძლება

ალბანეთთან დღევანდელ მატჩამდე საქართველოს ნაკრებმა „ეროვნულზე" გუშინ დილით ბოლოჯერ ივარჯიშა. წვრთნა მსუბუქი იყო, მწვრთნელებმა ძირითადად ტაქტიკური მონახაზის შესრულებაზე ამუშავეს ფეხბურთელები. ძირითადი შემადგენლობისთვის შეგულებულ თერთმეტეულთან მერაბ ჟორდანია და მიხეილ ყაველაშვილი მუშაობდნენ, დანარჩენებს თემურ ქეცბაია მეთვალყურეობდა.

ჯერაც გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა გოჩა ჯამარაული. მან ჩვეული დატვირთვით კი ივარჯიშა, მაგრამ საბოლოო სიტყვას ექიმები თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე იტყვიან.

ფეხბურთელებმა თავიდან დაცვითი ვარიანტი დაამუშავეს. ყაველაშვილმა ბიჭები ბურთის კოლექტიურ ართმევაზე ავარჯიშა და მერე ყურადღება კუთხურების ჩაწოდებასაც დაუთმო. ერთი სიტყვით, გუშინდელი ვარჯიში მთლიანად ალბანეთთან მატჩისთვის საჭირო „ელემენტებით" იყო გაჯერებული.



ლევან კობიაშვილი



ბადრი ქუთელიანის ფოტოები

ვიტალი დარასელია და ზურაბ ხიზანიშვილი

პრესკონფერენცია

ნავარჯიშევს მერაბ ჟორდანიამ, შოთა არველაძემ და ნაკრების დებიუტანტმა ლევან კორღალიძემ პრესკონფერენცია გამართეს.

მერაბ ჟორდანია:

— ცხადია, ყველას ჯერ ის გაინტერესებთ, რა მდგომარეობაა გუნდში. მინდა გითხრათ, რომ დღეისთვის საპრეტენზიო არაფერი მაქვს. ბიჭების მონდომებით კმაყოფილი დავრჩი. იმედია, ეს ხვალინდელ მატჩსაც დაეტყობა.

— ჯამარაულის თამაში გადაწყვეტილია?

— ძალიან გამიხარდება თუ გოჩა თამაშს შეძლებს, მაგრამ ამის თქმა ჯერ მიჭირს. მატჩამდე კიდევ ერთი დღე დარჩა და ვნახოთ, როგორ ექნება ხვალ კოჭი. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ექიმები ზუსტად ვერ ამბობენ, შეძლებს თუ არა ჯამარაული თამაშს.

— ფეხბურთელების მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?

— ვინც შეკრებაზე ჩამოვიდა, მოუმზადებელი არავინაა. ყველა კარგ ფორმაშია. ამ მხრივ პრობლემები არ ყოფილა.

— როგორ ითამაშებს საქართველო ალბანეთთან? ალბათ, გარკვეული მონახაზი გაკეთებული გექნებათ...

— აქცენტს აუცილებლად შეტევაზე გავაკეთებთ, მაგრამ დღევანდელ ფეხბურთში თავქუდმოგლეჯით წინ წასვლა რომ ხეირს არ მოგვიტანს, ყველამ კარგად იცით. ამიტომ დაცვასაც დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ. ამის შესახებ ბიჭებს უკვე ველაპარაკეთ და მათ იციან, რას მოვითხოვთ.

— კახა კალაძის არყოფნა ნაკრებს დიდად დაეტყობა..

— ამ თემაზე ლაპარაკიც ზედმეტია. კალაძე ჩვენთვის უდიდესი ძალაა და, ცხადია, უმისობა ძალიან დაგვეტყობა, მაგრამ ალბანეთთან წარმატებით თამაში ამ შემადგენლობასაც შეუძლია.

— როგორი იყო ეს სამი დღე ჟორდანიასთვის, როგორც მწვრთნელისთვის?

— განსაკუთრებული პრობლემა არ მქონია. ყველა ფეხბურთელთან ადრევე კარგი ურთიერთობა მქონდა და ნაღდად არ გამჭირვებია.

— როგორ ფიქრობთ, ყველაზე მეტად რომელ ხაზში უჭირს საქართველოს ნაკრებს?

— ახლა მგონია, რომ ამ ნაკრებს არც ერთ ხაზში არა აქვს პრობლემა.

— ალბანელებზე რას იტყვით?

— მებრძოლი გუნდია. რაც შეუძლია, ჯგუფის თამაშებში ვნახეთ, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. სიმართლე გითხრათ, ალბანელთა ნაკრებში შექმნილ რაიმე პრობლემას დიდად არც დავუინტერესებივარ. მთავარია, საქართველოს ნაკრებმა ითამაშოს კარგად და წარმატება ჩვენი იქნება.

— ვინმეს პერსონალურ მეურვეობას ხომ არ აპირებთ?

— არა. პერსონალურად არავის ვეთამაშებით. ვის ზონაშიც იქნება მეტოქე, ის მიხედავს.

— ალექსის პაპასტერგიოსზე რას იტყვით?

— ვფიქრობ, ის კარგი სპეციალისტია. ბიჭებს მისი ვარჯიშები ძალიან მოსწონთ.

— მასთან კონტრაქტის გაფორმებას ხომ არ აპირებთ?

— არა, ამაზე საუბარი ნაადრევია. მსგავსი საკითხები ნაკრების მომავალი მწვრთნელის გადასაწყვეტი იქნება.

— ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, შესაძლოა, ხვალ რამდენიმე ფეხბურთელმა კლუბში ნაჩვევისგან განსხვავებულ პოზიციაზე ითამაშოს...

— არაა გამორიცხული, მართლაც ასე მოხდეს. თანამედროვე ფეხბურთში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ვფიქრობ, ბიჭები ამას თავს გაართმევენ.

შოთა არველაძე:

— ალბანეთი ჩვენთვის უხერხული მეტოქეა. მათთან რამდენჯერმე მითამაშია და ყოველთვის მაგრად გაგვიჭირდა. ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ. უმეტესობა გერმანიაში თამაშობს. მწვრთნელიც ძლიერია, ბრიგელის ხელი ამ გუნდს აშკარად ეტყობა.

— ვფიქრობ, უმთავრესი სათამაშო დისციპლინა და მწვრთნელის დავალების ზედმიწევნით შესრულება იქნება. ამას ფეხბურთელთა ინდივიდუალური შესაძლებლობებიც უნდა დავამატოთ. ისეთი რამეები, რასაც, მაგალითად, ჯამარაული ან ასათიანი ძალიან მცირე დროში გააკეთებენ, წიგნში არ წერია, ამას მხოლოდ კარგი ფეხბურთელები ასრულებენ.

— რამდენი წელია, საქართველოს ნაკრების ბაზას ველოდით და, საბედნიეროდ, მივიღეთ. ჩემი პრეტენზიები ყველამ კარგად იცის და, წარმოიდგინეთ, როგორ დამწყდა გული, როცა ამ ბაზას წუნი ვერ ვუპოვე. დავდიოდი ოთახებში და ვწუწუნებდი, ყველაფერი ასე კარგად რატომ გააკეთეთ, სალაპარაკო მომისპეთ-მეთქი.

— ყაველაშვილის და ქეცბაიას მწვრთნელობაზე რა გითხრათ. ამაზე კომენტარს ხვალ ათ საათზე გავაკეთებ. მაშინ გამოჩნდება ყველაფერი.

ლევან კორღალიძე:

— ნაკრებში მოხვედრით ბავშვობის ოცნება ამიხდა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამას ველირსე. დიდი ხანი ველოდი, რომ როდესმე მეც მიმიწვევდნენ ეროვნულ გუნდში და ეს ახლა მოხდა. გუნდში ძალიან კარგი განწყობაა და ახლა ყველანი ალბანეთთან წარმატებულ თამაშზე ვფიქრობთ.

კახა შალამბერიძე



ბადრი ქუთელიანის ფოტო

ლევან კორღალიძე, მერაბ ჟორდანია და შოთა არველაძე

გიო ახვლედიანის

სვეტი

რაღაცა, პატარა

. მოახლოვდა კიდევ ერთი საერთაშორისო თამაში, საქართველო მასპინძლობს ალბანეთს და მგონი, ეს არის ყველაზე მშვიდი და არაფრისმთქმელი მოლოდინი წლეულს. შესარჩევი ციკლის წინა თამაშები ბევრად მეტი ხმაურით ახლოვდებოდა: თვით წინდაწინ წაგებული მატჩებიც კი უფრო მეტი იმედისა იყო.

ეგებ ეს იმის ბრალი იყოს, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში კი არა, მგონი, ახალი ციკლის უფრო პრესტიჟულ საწილისყრო კალათშიც კი ვერ მოხვდება.

ანდა, ეგებ იმის ბრალიც იყოს, რომ ნაკრებს დროებით მწვრთნელთა საბჭო მეთაურობს და სიტყვა „დროებითი" იმედის მომნიჭებელი არ არის.

წლევანდელ თამაშებში საქართველოს ნაკრები დაიღალა და ჩვენც დაგვღალა. გუნდს ორი მწვრთნელი უკვე მოცვლილი ჰყავს და ახლა კიდევ ოთხი უდგას სათავეში.

ნაკრები ისეთი ამბავია, რომ კი დაგვლის, გაგაწამებს, მაგრამ ბოლო წუთამდე საუკეთესო ცხრილს და შედეგებს გამოუყვან შენს ოცნებებში. ცხადია, ჩვენც ასე ვართ. ოღონდ, მაინც მგონია, რომ დღევანდელი, სწორედ ამ საალბანეთო შეკრების გუნდი პირობითი გუნდია და არა კონკრეტული მიზნისთვის შეკრებილი.

საკუთრივ ალბანელები ჩვენგან ნატანჯნი არიან, ვუგებდით და ვუგებდით, აქლემი ისე არ წაიქცევა, ვირისა არ წაიღოსო. ის, რომ აკაკი ხორავა მათ გმირს, სკანდერბეგს თამაშობდა ძველ კინოში, სულ უკუღმა შევუტრიალეთ ალბანელებს. ახლა კი, გვინახავს, რომ ყოველთვისაც მოძრავი ალბანეთი ჰანს პეტერ ბრიგელის ხელში მთლად სირბილსა და აქტიურ თამაშზე გადასულა და ამათთან ბრძოლა ჩვენი ხასიათის, განწყობის და მდგომარეობის გუნდისთვის გვარიანად ძნელია.

ეს თამაში კი მოახლოვდა, მაგრამ ამ საღამოს რას მოველოდეთ, არ ვიცით. ყოველ მწვრთნელს თავისი ამბავი აქვს. როცა ამ მწვრთნელს იცნობ, მისგან ასე თუ ისე მოელი რაღაცას, მაგრამ როცა მწვრთნელი სრულიად უცნობია, ძნელია თქვა, რას დაინახავ.

თუ მწვრთნელები კარგი მოტივატორები გამოდგნენ, მაშინ თამაში გვექნება, ვინაიდან ოსტატობის ამბავში ალბანელთა უკან არ ვჩანვართ. თუ არა და, ძნელი სათქმელია. ამ თამაშის ბედი ჩვენი მხრიდან სწორედ მოტივაციის ხელშია, თორემ ტაქტიკებისა და სიბრძნეებისა ამ გაქანების და კლასის ორთაბრძოლაში არაფერი დაგვამახსოვრდება.

მოკლედ, კიდევ ერთი საშემოდგომო ფეხბურთი და კიდევ ერთი სურვილი, რომ: „ბიჭო, დავაი, რაღაცა, პატარა..." რის ცდაშიც ჩვენც და ფეხბურთელებიც გავჭაღარავდით.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

საქართველო — ალბანეთი

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 6 სექტემბერი. 16.30 საათი

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ამ შესარჩევში ჯერ არ მოუგია და დღეს ნავსის გატეხვის საუკეთესო საშუალება ეძლევა — ბოლნისის თემურ სტეფანიას სახელობის სტადიონი მორიგ საერთაშორისო მატჩს უმასპინძლებს და ვინძლო 4 ათასამდე კაცი იქ ერთხელაც შეიყაროს. თამაში დათქმულზე ნახევარი საათით ადრე, ხუთის ნახევარზე დაიწყება და ბოლნისიდან თბილისში ეროვნულ ნაკრებთა მატჩზე ჩასწრება პრობლემა აღარ უნდა იყოს.

გამაფრთხილებელი თავმოყვარეობის თამაში

რევაზ არველაძე: სერიოზული ბოლნისი გვჭირდება

გუშინ ჩვენმა 21-წლამდელებმა „შევარდენზე“ ივარჯიშეს. გუნდში სიახლეა — ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ ახალგაზრდულს დინამოელი მცველი ალეკო ამისულაშვილი დაუთმო.

ვარჯიშზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. რევაზ არველაძემ კუთხურებზე და სტანდარტულებზე საგულდაგულოდ ავარჯიშა შეგირდები, რაც მას ყოველთვის უყვარდა. წვრთნა მსუბუქი, მატონიზირებული იყო, დანარჩენი კი დღეს გამოჩნდება.

ახალგაზრდულის დამრიგებელს ნავარჯიშევს ვესაუბრეთ და პირველ რიგში მოგებაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

— არველაძის ხელში ახალგაზრდულს ჯერ არ მოუგია. თქვენმა გაწვრთნილმა „ლოკომოტივმა“ კი ეროვნულ ჩემპიონატში ბოლო ორი თამაში წააგო — მოგების გემო ძალიან მოგენატრათ?

— გამარჯვებისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. თუ გახსოვთ, სამი წლის წინ, როცა „დინამო“ ჩავიბარე, ცუდად დავიწყეთ, მაგრამ მერე გამოსწორდა სიტუაცია. იმას ვერ ვიტყვი, რომ ზუსტად იგივე მოხდება „ლოკომოტივში“, მაგრამ პირობას ვდებ, რომ საქმე უკეთესობისკენ წავა. ახლა კი მთლიანად ახალგაზარდულ ნაკრებზე ვარ გადართული და წარმატების დიდი იმედი მაქვს — ძალიან მძაფრად დგას თავმოყვარეობის საკითხი. წინა მატჩებში ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ ეს აუცილებლად შედეგშიც უნდა აისახოს — შესარჩევი ციკლი მინიმუმ 6-7 ქულით უნდა ჩავამთავროთ.

— ახალგაზრდული ნაკრები ბოლნისში თამაშობს...

— ეს ჩემი გადაწყვეტილება გახლდათ და ამაში ისაა ჩადებული, რომ ბოლნისელი გულშემატკივრების სერიოზული მხარდაჭერის იმედი მაქვს. ბოლნისში არაჩვეულებრივი საფეხბურთო სიტუაციაა და მინდორიც ნორმალურია.

— გუნდის შემადგენლობა წინა მატჩებთან შედარებით მკვეთრად შეიცვლება?

— 3-4 ფეხბურთელი მყავს, რომლებიც წინა მატჩებში სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყვნენ — ტრავმები, ზოგიც ეროვნულმა ნაკრებმა წაიყვანა, მაგალითად, ამისულაშვილი და სირაძე. შემადგენლობა ძირითადად ამ ფაქტორის გამო შეიცვლება.

— ახალგაზრდული ნაკრების ვიტჯორჯიელ ახალწვეულ ოთარ მარცვალაძეს როგორ დაახასიათებდით?

— მომწონს მისი სისწრაფე, დრიბლინგი, დამაგვირგვინებელი მწვავე გადაცემა, თანაც მარცვალაძე სწრაფ თამაშს უძლებს, არ იღლება. მას სათამაშო პრაქტიკა აკლია, ქარიზმატულ ფეხბურთელად უნდა ჩამოყალიბდეს — როცა ის მოედანზე არ იქნება, მისი არყოფნა მკვეთრად უნდა დაეტყოს გუნდის თამაშს. მარცვალაძის დარი, გარემარბული ტიპის ფეხბურთელები დეფიციტია. მას ალბანეთთან ფლანგებზე გამოვიყენებთ.

— მეტოქეზე რას იტყვით?

— ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრების ერთი თამაში ვნახე ფირზე, ძალისმიერი და მობილური გუნდია, ტანმაღალი ფეხბურთელებიც ჰყავთ. როგორც ვიცი, ოთხი ტრავმირებული მოთამაშე აკლიათ. ვფიქრობ, აქ და ალბანეთში მეტოქე განსხვავებულად გვეთამაშება და ჩვენც გადაწყობა მოგვიწევს. ვარჯიშებზე გუნდი არ გადამიტვირთია — ძალიან ცხელა და ძირითადად კონდიციების შემანარჩუნებელი ვარჯიშები გვქონდა.

დავით თავართქილაძე



ოთარ მარცვალაძე



ალექსანდრე ამისულაშვილი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

ირლანდია — რუსეთი

საკვანძო შემადგენლობები

გივენი; კარი, ბრინი, კანინგემი, ოში; რიდი, ჰელი, ჰოლანდი, კილბეინი; მორისონი, დაფი	ოვჩინიკოვი; ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, ონოპკო, ევსეევი; სმერტინი, ალენიჩევი, ტიტოვი, კარიაკა, მოსტოვოი; კერჟაკოვი

ირლანდიელებმა აფიშები დაახვიეს

ტაქტიკა რუსული, დერეფიდაფული

კლინტონ მორისონი რუსებს შავი დღით ემუქრება

ირლანდიელებს უყვართ თქმა, წელიწადში სამასი წვიმიანი დღე დაგვეთვლებაო. დუბლინში დღესაც წვიმაა მოსალოდნელი, მაგრამ „ლენსდაუენ როუდზე“ სალამოს მაინც დაცხება. კუნძულელ გიჟმაჯებს საპორტუგალიო გზაზე რუსები ჰყავთ გასათელი და, თქმა არ უნდა, იქაური ქომაგებიც და ფეხბურთელებიც დიდი ომისთვის ემზადებიან.

დუბლინში ჩასულ რუს ჟურნალისტებს საამტჩო ერთი აფიშაც არ დახვდათ ქალაქში. იქაურებმა გაიკვირვეს, აფიშა რა თავში სახლელად გვინდა, მთელმა ირლანდიამ იცის, 6 სექტემბერს რუსებთან ვთამაშობთო. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ირლანდია — რუსეთზე ყველა ბილეთი ჯერ კიდევ ორი კვირის წინ სარეკორდო დროში გაიყიდა.

მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. წარმატების შემთხვევაში რუსეთსაც და ირლანდიასაც პორტუგალიაში პირდაპირი გზით მოხვედრის კარგი შანსი უჩნდება. რუსებმა გუშინ სალამოს გენერალური ვარჯიში დახურეს. გეორგი იარცევმა დაცვის ორიოდე თანამშრომლის გარდა არავინ გააკარა „ლენსდაუნ როუდის“ მწვანეს.

რუსებს და ირლანდიელებს საინფორმაციო ომიც გაუჩაღებიათ. „IRISH INDEPENDENT“-ი თავისიანებს ამშვიდებს, თქვენ რუსებს გადაუვლით, ეს გუნდი იმდენად უსუსურია, მათი საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა კოლოსკოვმა ისრაელთან წაგებული მატჩის შემდეგ თქვა, რუსეთის ნაკრებს ებრაელებთან გაზაევი კი არა, მამა ღმერთიც ვერ უშველიდა. გეორგი იარცევი კი ორ კვირაში სასწაულის მომხდენ კაცს არ ჰგავსო.

რუსებს რობი კინის არყოფნა დაუხვევიათ ხელზე და ამბობენ, მისი შემცვლელი კლინტონ მორისონი ვგებ კარგი პატრიოტი იყოს, მაგრამ მოედანზე კინობას ვერ გასწევსო.

მორისონი ვახსენეთ და ბარემ: ამ შავი კაცის ირლანდიელ ბებიას 40 წლის წინ დაუტოვებია დუბლინი და სანაკრებო გამოძახებამ სისხლი აუყიელა, ჩემი ფესვები აქ არის, ვამაყობ ჩემი ირლანდიელობით და შავ დღეს დავაყრი რუსებს, თუ მენდო ბრაიან კერიო. სხვათა შორის, კლინტონ მორისონმა ირლანდიელთა ბოლო ამხანაგურ მატჩში გამოიჩინა თავი. შეცვლაზე ცოტა ხნის წინ შესულმა გადამწყვეტი გოლი შეუგდო ავსტრიელებს.

დუბლინში გაფრენის წინ რუსებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ. პორტოელმა დმიტრი ალენიჩევმა საზღვარგარეთული პასპორტი დაკარგა და რუსებმა ძლივს მოასწრეს მისი საქმის მოგვარება. სხვა მხრივ იარცევის გუნდს პრობლემა არა აქვს, ახალ მწვრთნელს ძველი, გამოცდილი ფეხბურთელების ეიმედება. სმერტინი, მოსტოვოი, ალენიჩევი და ონოპკო დიდ სამსახურს გაგვიწევენ, სხვებსაც აიყოლიებენ და არ შევრცხვებით ირლანდიასთანო, ირწმუნება იარცევი. მასპინძელთაგან რუსები ყველაზე მეტად დამიენ დაფს უფრთხიან. რუსულ პრესაში ლამის ერთნაირი შინაარსის ლოზუნგებია — არ მივცეთ დაფს გაქცევის საშუალება!

დაფი კი მართლაც რომ გამქცევი, ყოჩაღი ბიჭია. 24 წლის ფეხბურთელს გვარიანი გამოცდილებაც აქვს — შვიდი წელია, ეროვნული ნაკრების „მწვანეს“ ატარებს.

მოკლედ, დღეს „ლენსდაუენ როუდზე“ მართლაც დიდი ომი იქნება. წაგება რუსებს, ფაქტობრივად, საბოლოოდ გაწბილებს, ამიტომ დიდ ბრძოლას ელიან „ორთავა არწივისგან“. ბრძოლა კი ირლანდიელებსაც არ ეშლებათ.

პაატა ძვანტალიანი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

საფრანგეთი — კვიპროსი
სერბეთი და ჩერნიგორია — ბულგარეთი

დაივიწყეთ ნიქოზია!
დიდი დანაკლისი და დიდი პატივი

ალექს ფერგიუსონსა და ფაბიენ ბარტეზს გასაყოფი არაფერი აქვთ

ზინედინ ზიდანი დაშავებულია და ვერ ითამაშებს, მაგრამ კვიპროსთან ბრძოლისა, მით უფრო „სტად დე ფრანსზე", ანუ შინ პარიზის შემოგარენში, ფრანგებს მის გარეშეც არ ეშინიათ - ევროპის ჩემპიონები პირველ შესარჩევ ჯგუფს ხუთი თამაშიდან მაქსიმალური, 15 ქულით ლიდერობენ და თუ დღეს გაიმარჯვებენ, 10 ქულით მეორეზე მყოფი სლოვენიელები კი ლუბლიანაში ისრაელს ვერ მოუგებენ, მაშინ პორტუგალიის ერთი საგზურის ბედი გადაწყვეტილი იქნება.

„კვიპროსელებთან ჩატარებული პირველი შეხვედრის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა — ამბობს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, „იუვენტუსის" მცველი ლილიან ტურამი — მაშინ, ჩვენსა და მეტოქეს შორის დიდ განსხვავებას ვერ შეამჩნევდით, დღეს უკვე სხვაა".

შეგახსენებთ, რომ ნიქოზიაში, ფრანგებმა უგერგილოდ ითამაშეს, მაგრამ 2:1 გაიმარჯვეს.

„დიდი სიფრთხილე გვმართებს, მაგრამ არც ღელვა მოგვიტანს სიკეთეს" — დასძინა „არსენალის" ფორვარდმა ტიერი ანრიმ.

ის ამბავი, ნიქოზიაში გამართული პირველი თამაშისა, ერთი წლის წინ იყო. მას მერე ევროპის ჩემპიონთა მწვრთნელმა, ჟაკ სანტინიმ, გუნდს სამი ფეხბურთელი შემატა, „რომას" ოლივიე დაკური, „სოშოს" ბენუა პედრეტი და „მონაკოს" ჟერომ როტენი.

„ზიდანი? — კითხულობს ანრი — კარგია, როცა თამაშობს, თუმცა მის გარეშეც მშვენივრად ვგრძნობთ თავს. არც მე ვიყავი ერთი წლის წინ კვიპროსზე, მაგრამ გავიმარჯვეთ".

„ძალიან გვინდა ჩვენი მაყურებლის წინაშე კარგად ვითამაშოთ" — დამატა ზემოთხსენებულმა დაკურმა.

რაც შეეხება მეკარე ფაბიენ ბარტეზს, რომელიც 32 წლისა „მანჩესტრ იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, როგორც გაირკვა, ის მაინცდამაინც არ ნერვიულობს.

„როდესაც ახალგაზრდა ხარ, ყველაფერს მწვრთნელს აბრალებ. მაგრამ დღეს უკვე ასე გეტყვით: მე დიდი გუნდის წევრი ვარ და ჩემი მწვრთნელია ადამიანი, რომელსაც 200 პროცენტით ვცემ პატივს. ჩემსა და ალექს ფერგიუსონს შორის კამათი არ ყოფილა, რადგან კამათის მიზეზს ვერ ვხედავ. არ ვთამაშობ და ეს ფაქტია. სამაგიეროდ, ვარჯიშით ბევრს ვვარჯიშობ და არსად არ ვაპირებ წასვლას. რას მთავაზობთ, გავიქცე და ჩემს მდგომარეობაზე ტირილი დავიწყო? ფერგიუსონი ბოსია და ყველაფერს ის წყვეტს. მე რა უფლება მაქვს განვსაჯო და ვაცხადო, ვინ მართალია და ვინ მტყუანი", — განაცხადა მეკარემ, რომელსაც ჯერ ნაკრებში ადგილის დაკარგვის შიში არ აქვს, ორ-სამ თვეში კი ვნახოთო, ამბობს.

ხოლო კვიპროსელთა თავკაცი, მომკილო ვუკოტიჩი ასე ამბობს:

„საფრანგეთთან ძალიან დაძაბულ შეხვედრას ველით. ჩემს ფეხბურთელებს მთელი 90 წუთის განმავლობაში შეცდომის გარეშე, ყურადღებით თამაში მოუწევთ".

ბაბუნა ძედია



ზინედინ ზიდანი კვიპროსთან ვერა, მაგრამ ბავშვთან კი ითამაშებს

საფრანგეთი	5	5	0	0	19:2	15
სლოვენია	5	3	1	1	10:7	10
ისრაელი	5	2	2	1	6:3	8
კვიპროსი	6	2	1	3	7:11	7
მალტა	7	0	0	7	3:22	0

საკვარაუდო შემადგენლობა

საფრანგეთი

ბარტეზი, ტურამი, დესაი, მეჭსეში, ლიზარაზუ, მაკელელე, ვიეირა, ვოლტორდი, პირესი, ანრი, ტრეზეგე

III ჯგუფი

ჰოლანდია — ავსტრია
ბელარუსი — ჩეხეთი

ავსტრიას მიუნხენი გამოაკლდა
ნისტელროი ევროპას არ დააკლდება

რუუდ ვან ნისტელროი

ბურთების უკეთესი სხვაობით ჩეხეთი პირველ ადგილზეა. გატანილ-გაშვებული გოლების შეფარდებამ საბოლოოდ შეიძლება ჯგუფის გამარჯვებულიც გამოავლინოს, ამიტომ ჰოლანდიაც და ჩეხეთიც თითოეულ მატჩში მხოლოდ სამი ქულისთვის კი არა, დიდი ანგარიშით მოსაგებად იბრძვიან.

დღეს „ნარინჯისფერები" ავსტრიას უმასპინძლებენ, რომლებსაც სტუმრად 3:0 სძლიეს. ფრედ ნათამაშები ბოლო ამხანაგურ შეხვედრის შემდეგ დიკ ადვოკაატს კრიტიკის მოზრდილი ულუფა აგემეს. ალბათ, ამის გამოა, რომ მან სანაკრებოდ კლარენს ზეედორფი და რონალდ დე ბური აღარ გამოიძახა. მათ ნაცვლად 19 წლის არიენ რობენს და 23 წლის ვან დერ მეიდეს უხმო. რობენი პსვ-ს ფეხბურთელია და „ნარინჯისფერი" მაისურა მხოლოდ ერთხელ მოურგია. ვან დერ მეიდეს კი — ოთხჯერ.

„ხუთ დღეში გამართული ორი მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ" — თქვა ადვოკაატმა.

ჰოლანდიელთა მთავარი დანაკლისი, რა თქმა უნდა, რუუდ ვან ნისტელროია. მანჩესტერელი ფორვარდი დისკვალიფიცირებულია და ასე ბჭობს: „ჯგუფში აუცილებლად პირველი ადგილი გვჭირდება. მე ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატზე არასოდეს მითამაშია და პორტუგალიაში წასვლა ძალიან მწყურია. ევრო 2000 ტრავმის გამო გამოვტოვე, შარშან კი აზიაში ჩვენი ნაკრები ვერ მოხვდა".

ავსტრიელებს მეორე ადგილის მოსაპოვებლად თეორიული შანსი აქვთ, მაგრამ ალესილ „ნარინჯისფერებს" ალბათ ვერაფერს დააკლებენ. მით უმეტეს, რომ ჰანს კრანკლის ნაკრებს „მიუნხენ-1860"-ის სამი მოთამაშე დააკლდება: ჰარალდ ჩერნი, მარკუს ვაისენბერგერი და მარტინ შტრანცლი.

ვაჟა ხუციშვილი

ჩეხეთი	5	4	1	0	14:1	13
ჰოლანდია	5	4	1	0	11:2	13
ავსტრია	6	3	0	3	9:8	9
ბელარუსი	6	1	0	5	2:15	3
მოლდოვა	6	1	0	5	3:13	3



ვან დერ მეიდე

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

V ჯგუფი

ისლანდია – გერმანია
შოტლანდია – ფარერები

შეიგნეთ, გერმანელებო!

ჯადოქარი ხი არა, ბალაჯი ვარ, ბა-ლა-ჯი!

ბალაჯი ავტოგრაფს უხვად არიგებს, დაპირებას არა

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐᲡ გერმანიაზე თამაშით ნაკლები აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ბუნდესნაკრებს თავზე აზის და პირველ ადგილზეა. დღეს რეიკიავიკში მეხუთე ჯგუფის ლიდერი მეორეადგილოსანს უმასპინძლებს. მასპინძლებისთვის გერმანია ფრიად საპატიო სტუმარია და მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. ბილეთების გასაღებას დიდი დრო არ დასჭირდა, რადგან ქვეყანაში უდიდესი სტადიონი ოდენ 7 000 კაცს იტევს. ისლანდიაში 280 ათასი მაცხოვრებელია, დაახლოებით იმდენივე, რამდენიც გერმანულ კარლსრუეში.

„ბუნდესნაკრების დამარცხებას არ ვითხოვთ, მაგრამ ქულის აფცქვნა შეგვიძლია. მრავალი გულშემატკივარი უბილეთოდ დარჩა, თუმცა სტადიონთან ახლოს ფართო ეკრანზე ფეხბურთის ნახვას მაინც მოახერხებენ“ - თქვა მავანმა ქომაგმა ოლაფურ იოჰანესონმა.

მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი შესარჩევი ეტაპის დასაწყისში ატლი ედვალდსონი იყო. შოტლანდიასთან ორივე მატჩის წაგების გამო ივი ოდესღაც ბუნდესლიგაში ნაწრთობმა ასგეირ სიგურვინსონმა შეცვალა და სამ შეხვედრაში ცხრა ქულა მიითვალა. სიგურვინსონი მანამდე ნაკრების ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა.

ცხრილის სათავეში მოქცევის შემდეგ ფეხბურთი ისლანდიაში ლამის ნომერ პირველი სპორტის სახეობა გახდა. ამ ქვეყნის ყველაზე ცნობილი მოთამაშე ლონდონის „ჩელსის“ ფორვარდი ეიდურ გუდიონსენია. ნაკრების წევრებიდან ხუთი ბელგიის პირველ დივიზიონშია, ერთი ბუნდესლიგაში, დანარჩენები კი ნორვეგიაში და შვედეთში თამაშობენ.

ისლანდიელებმა ბოლო შესარჩევ მატჩში სტუმრად ფარერებს რომ სძლიეს, პირადი რეკორდი მოხსნეს — ისტორიაში ზედიზედ სამი შეხვედრა პირველად მოიგეს. მანამდე ვილნიუსში ლიტვა, შინ კი ისევ ფარერები დაემარცხებინათ.

აი, ასეთი განწყობით დაუხვდებიან გერმანელებს, რომლებსაც სამი თამაში დარჩათ გასამართი და მათგან ორი ასგეირ სიგურვინსონის გუნდთან.

როგორ ხასიათზეა რუდი ფიოლერის ბუნდესნაკრები? გულშემატკივრები დარჩენილ მატჩებში მხოლოდ გამარჯვებას და ჯგუფში პირველ ადგილს ითხოვენ. ქომაგთა იმედი მიხაელ ბალაკია, მაგრამ ყოფილმა „ფარმაცევტმა“ თქვა: „მე ჯადოქარი არ ვარ. ფეხბურთი გუნდური თამაშია და მარტო კაცი ვერაფერს გააწყობს. შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ მეგონა, რომ გუნდს რწმენა შეემატებოდა და უკეთესად ვითამაშებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა“.

გერმანელთა თავკაცი მარცხენა ნახევარმცველის პოლ ფრეიერის ამბავმა დააღონა. „ბოხუმის“ 24 წლის ნახევარმცველის მარჯვენა ფეხმა ვარჯიშზე გაიტკაცუნა და ექიმმა მოტეხილობა დაუდგინა. „იტალიასთან ამხანაგურ მატჩში ფრეერი შესანიშნავად გამოიყურებოდა. ისლანდიასთან და შოტლანდიასთან მისი იმედი მქონდა“ — დაიჩივლა ფიოლერმა. რეიკიავიკში შესაძლოა, სებასტიან დაისლერი გამოჩნდეს. მას შარშანდელი მაისის აქეთ ნაკრებში არ უთამაშია.

ბუნდესნაკრებს ფრედი ბობიჩი და ბერნოდ შნაიდერი ჰყავს ტრავმირებული. ამ გაგანია სიცხეში კევინ კურანის აციებს, თუმცა სამივე მათგანი შესაძლოა, დღეისთვის მწყობრში იყოს.

ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შემთხვევაში გერმანიის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შესარჩევ მატჩებში, 10 ათას ევროს მიიღებს. გარდა ამისა, თითოეული მოგებული მატჩის სანაცვლოდ 80 ათას ევროს გუნდზე გაანაწილებენ.

ᲛᲐᲪᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ისლანდია	6	4	0	2	11:6	12
გერმანია	5	3	2	0	8:3	11
შოტლანდია	5	2	2	1	7:5	8
ლიტვა	6	2	1	3	4:9	7
ფარერები	6	0	1	5	5:12	1

VII ჯგუფი

მაკედონია – ინგლისი
ლიხტენშტაინი – თურქეთი

გეშინოდეთ 11 ოქტომბრის

ᲢᲠᲐᲕᲛᲔᲑᲘᲗ შეფერთხილი ინგლისი დღეს მაკედონიას იმის ცოდნით ხვდება, რომ გამარჯვება ერთი თვის შემდეგ, თურქეთში, საგზურის დაბვევების შანსს მისცემს. და ფრე? ფრე საშინელებაა — ინგლისელთა და თურქთა შორის, ორად ორი ქულაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა, სკოპიეში, ფრე სვენ გორან ერიკსონის ქვეშევრდომებს 11 ოქტომბერს, სტამბოლში გამარჯვებას დაავალდებულებს.

ახლა ინგლისელების პრობლემებზე: დევიდ ბექემს ესპანეთის ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრაში, „ვილიარეალთან“ საზარდული გაუმიზეზდა, მაგრამ ერიკსონსა და მის ასისტენტებს იმედი აქვთ, რომ კაპიტანი თამაშს შეძლებს. მათი შიშით, ბექემის არყოფნამ შესაძლოა გუნდზე ძალიან ცუდად იმოქმედოს, მით უფრო, რომ ინგლისის ნაკრებში მას გოლების შემქმნელის როლიც აკისრია და გამტანისაც.

პრობლემაა პოლ სქოულზის ტრავმაც. სქოულზი მართალია, ნახევარმცველია, მაგრამ გასულ სეზონში, თავისი კლუბის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში 20 გოლი გაიტანა. სქოულზის არყოფნას ცუდად ემატება ლივერპულელი სტივ ჯერარდის ტრავმაც.

სქოულზის და ჯერარდის შემცვლელებად, ინგლისელ მიმომხილველთა აზრით, შვედ მწვრთნელს ოუენ ჰარგრივსა და ფრენკ ლამპარდი ეგულება. ბექემი, როგორც მოგახსენეთ, თავის ადგილას დარჩება, ისევე როგორც ნიკი ბათი.

თავდასხმაში ლივერპულელ მაიკლ ოუენს ევერტონელი უეინ რუნი შეუწყვილდება, თუმცა მაკედონიელები ტრადიციულად 3-5-2-ს თამაშობენ და, როგორც ამბობენ, ამის გამო, 17 წლის რუნის, უკან სირბილიც გვარიანად მოუწევს.

ახლა მაკედონიელთა ამბებიც ვთქვათ: გუნდი, რომელმაც ინგლისელები გასულ ოქტომბერში გვარიანად გააწვალა, როდესაც საუთჰემტონში ამბიციურ მასპინძლებს 2:2 გამოსტყუა, ახლაც უშიშრად აპირებს სახელოვან მეტოქესთან ბრძოლას. მისი მწვრთნელი ისევ დრაგან კანატლაროვსკია.

ნახევარმცველთაგან დისკვალიფიცირებულნი არიან გოცე სედლოსკი და იგორ იანცევსკი, დაშავებულები კი გახლავან მცველი ალექსანდრ ვასოსკი და თავდამსხმელი რობერტ პოპოვი. სამაგიეროდ, რიგზე არიან ის ფეხბურთელები, რომლებმაც ზემოხსენებულ საუთჰემპტონურ შეხვედრაში ინგლისელებს გოლები გაუტანეს. ისინი გახლავან არტიმ საკირი და ვანკო ტრაჯანოვი. საკირიმ, თუ გახსოვთ, დევიდ სიმენს კუთხურიდან ჩაუხვია.

კიდევ რა სირთულეა? რასაკვირველია, ინგლისელ ქომაგთა სკოპიეში „შესვლა“. ამბობენ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას გული ეტკივა. ბალაკი ეუბნება და იმის შიშით, რომ ევრო 2004-ის საგზური რამე სადისციპლინო მიზეზით არ დაკარგონ, თავის მოსახლეობას შინ მშვიდად ჯდომას ურჩევსო. განსაკუთრებით 11 ოქტომბერს, თურქეთში ვოიაჟისა გეშინოდეთ.



დევიდ ბექემს მაკედონიის პრეზიდენტი ვაჟთან ერთად ვარჯიშზე ესტუმრა

ახლა მოქმედ პირთა გამონათქვამებს მივხედოთ.

„პირველ შეხვედრაში ცდა რადი დავაკელით, მაგრამ მაშინ ბევრი რამ დაემთხვა ერთმანეთს. მაკედონიელებმა პირველი წუთებიდანვე კარგად ითამაშეს, ჩვენ კი ვერა. წესით, ორი გოლი როცა გაგაქვს, მეტოქე უნდა დამარცხდეს, მაგრამ ვაგლახ, ჩვენ მაშინ თავი ვერ დავიცავით კარგად. ერთი სიტყვით, მეტოქის ავან-ჩავანი კარგად ვიცით და ილუზიებით არ ვიკვებებით. ვიცით, როგორი თამაშიც გველის“. — განაცხადა მაიკლ ოუენმა.

ოუენ ჰარგრივსი: „მაკედონიასთან თამაში ძალიან მინდა. მათ უკვე დაგვიმტკიცეს, რომ დიდი გუნდი ჰყავთ. რატომღაც ყველას ჰგონია, რომ პატარა ქვეყნებს დიდ ქვეყნებზე სუსტი გუნდები უნდა ჰყავდეთ, მაგრამ მაკედონიელებმა ჩვენთანაც ძლიერად ითამაშეს და თურქებთაც“.



მაიკლ ოუენი და ინგლისელები მაკედონიასთან პირველ მატჩში ოდენ ქულას დასჯერდნენ

ᲑᲐᲠᲐᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ

თურქეთი	6	5	0	1	14:5	15
ინგლისი	5	4	1	0	10:4	13
სლოვაკეთი	6	2	0	4	8:8	6
მაკედონია	6	1	2	3	9:11	5
ლიხტენშტაინი	5	0	1	4	2:15	1

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ჯეიმსი, გ. ნევილი, ს. კემბელი, ტერი, ფილი კოული, ბექემი, ბათი, ჰარგრივსი, ლამპარდი, რუნი, ოუენი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

IX ჯგუფი

იტალია – უელსი

აზერბაიჯანი – ფინეთი

დარჩენილებო, მომყევით!



იტალიელები ვიერის ტრავმას დასტირიან

იტალიისა და უელსის დაპირისპირება, რომელიც დღეს „სან სიროზე“ გაიმართება, მეცხრე ჯგუფის ცხრილის სათავეში ურთიერთობის გარკვევას ნიშნავს, მაგრამ, თითქოს შეთანხმდნენო, ორივე გუნდს თავდასხმაში აქვს პრობლემა.

უელსელების თავდამსხმელის კრეიგ ბელამის საქმე ისეა, რომ მისი მუხლი ნაკრებისა და კლუბის, „ნიუკასლ იუნაიტედის“ დიდი დაპირისპირების საგნად იქცა, მაგრამ სანამ ბრიტანელები ერთ ამბავში იყვნენ, იტალიელები კრისტიან ვიერის გარეშე დარჩნენ. „ინტერის“ ვარსკვლავმა მუხლი, რომელიც „მოდენასთან“ შეხვედრაში დაიზიანა, ვარჯიშზე გაიმიზეზა. აღსანიშნავია, რომ „სკუადრა აძურას“ თავკაცმა, ჯოვანი ტრაპატონიმ ვიერიმდე „რომას“ ლიდერი ფრანჩესკო ტოტიც დაკარგა — მან ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე იტკინა მხარი.

და მაინც, იტალიელებს შიშისა და დაბნეულობის არაფერი ეტყობათ, რასაც, ალბათ, ისიც განაპირობებს, რომ უელსმა აგვისტოში სერბეთთან 0:1 წააგო, ხოლო თავად, ხუთი შეხვედრა მოიგეს. რაც შეეხება უელსელთა და იტალიელთა პირველ, კარდიფულ შეხვედრას, იგი ბრიტანელთა გამარჯვებით, 2:1 დასრულდა.

„ამ მატჩს სულ სხვა მენტალიტეტით ვეგებებით — ამბობს „იუვენტუსის“ ფორვარდი ალესანდრო დელ პიერო — ჩვენ შევეცდებით ყოველგვარი ქულათა თვლის გარეშე მოვიგოთ. სხვა საქმეა, რომ სერბებმა თავიანთი გამარჯვებით პირველი ადგილის მოპოვების იმედი გაგვიღვივეს“.

და, რას იზამს უელსელთა მწვრთნელი, მარკ ჰიუზი? ამბობენ, რომ „სან სიროზე“, დაცვაში არ ჩადგება.

იტალიელთა მცველი გაბიო კანავარო საკითხს ასე უყურებს:

„უპირატესობა უელსელებს აქვთ. ისინი ლაპარაკობენ, ვინ აკლიათ, ჩვენ კი ვინ დაგვრჩა. ტოტის არყოფნა ხომ აშკარა პრობლემაა. ვფიქრობთ, მის არყოფნას დელ პიეროსა და ვიერის წყვილი დაგვავიწყებდა, მაგრამ ვიერიც, მოგეხსენებათ, დაშავებულია“.

„იუვენტუსის“ ახალი შენაძენი, „სკუადრა აძურას“ მცველი ნიკოლა ლეგროტალიე:

„შარშან, კარდიფში 1:2 წაგებას ტელევიზიით ვადევნე თვალი. გამაოცა უელსელთა რამდენიმე ფეხბურთელმა, განსაკუთრებით ჯონ ჰართსონმა. ის ძლიერი, აგრესიული და სამეურვეოდ ურთულესია. რასაკვირველია, აღსანიშნავია რაიან გიგზიც. მისი დიდი სისწრაფე ყოველთვის საგონებელში გაგდებს. ახლა ჩვენ სამი ქულა გვჭირდება და ამიტომ ძირითადად შეტევაში ვიქნებით, თუმცა დაცვის დავიწყებაც არ შეიძლება. კონტრშეტევაზე გოლის გაშვება უნდა გამოვრიცხოთ. ისინი ძალიან სწრაფები არიან და მათ კონტრშეტევას უნდა ვერიდოთ“.

ბაბუნა კვედია

ბაბუნა კვედია

უელსი	5	4	0	1	10:2	12
იტალია	5	3	1	1	8:3	10
სერბეთი	6	2	2	2	7:8	8
ფინეთი	6	2	0	4	6:8	6
აზერბაიჯანი	6	1	1	4	4:14	4

საკვარაუდო შემადგენლობა

იტალია:

ბუფონი, ბანუჩი, ნესტა, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ტაკინარდი, კ. ძანეტი, დელ პიერო, ფ. ინძაგი, ვიერი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

ბრაზილიაში ჩასულ რონალდოს დაღლილობა არ მოუწონეს

გაღანძღული რეალი

ბრაზილიის ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელმა მორასი სანტანამ გულიანად გამოლანძღა მადრიდის „რეალის“ უფროსობა. რას ერჩოდა? იმას, რომ სეზონის წინა შეკრებაზე „რეალმა“ უაზროდ აბოდიალა რონალდო და რობერტო კარლოსი აზიაში და ახლა, სეზონი ხეირიანად არც დაწყებულა და ძლივს დალასლასებენო. სანტანას შეშფოთება უფრო რონალდოს განეკუთვნება, თორემ რობერტო კარლოსის ჯანის ამბავი ხომ მოგეხსენებათ.

ახლა მათი სპეციალური პროგრამით მომზადება გვჭირდებაო, დაიჩივლა სანტანამ.

ეს ამბავი იმიტომ მოვყევით, რომ ბრაზილიის ნაკრები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე კვირას კოლუმბიას სტუმრობს, ოთხშაბათს კი ეკვადორის ნაკრებს მასპინძლობს. მოგეხსენებათ, ფიფას გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ჩემპიონს მომდევნო მუნდიალზე ადგილი დაბეებული აღარ აქვს და ბრაზილიელებს გერმანიამდე ვრცელი გზის გავლა მოუწევთ.

სანტანამ კი იმაზეც დაიჩივლა, ჩვენი ნაკრების ძირითადი ბირთვი ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელებისგან შედგება, ევროპის ქვეყნებში ჩემპიონატები სხვადასხვა დროს იწყება, რის გამოც ფეხბურთელები თანაბრად მომზადებული არ არიანო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ათი სამხრეთ ამერიკული ქვეყანა ერთ ჯგუფში გაერთიანდა, ანუ თითოეულს 18 მატჩის გამართვა მოუწევს. შესარჩევი ციკლი კი 28 თვეზეა გადაჭიმული.

„წინა შესარჩევ ციკლში ძალიან გაგვიჭირდა — თქვა კოლუმბიასთან მატჩის წინ ბრაზილიელთა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ — მაშინ ბოლო ტურამდე არ იყო გარკვეული ჩვენი ბედი. ახლა დარწმუნებული ვარ, ძველ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ და ციკლის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე მოვიპოვებთ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს“.

ბრაზილიელთა საკოლუმბიო შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის. დისკვალიფიცირებული რონალდინიოს ნაცვლად კრუზეიროელი ნახევარმცველი ალეში ითამაშებს, ფეხმტკივან კლუბერსონს კი ემერსონი შეცვლის.

საინტერესო ფაქტია: რონალდოს, რომელიც სამი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეა, აქამდე არასდროს უთამაშია შესარჩევ ეტაპზე და კოლუმბიასთან ერთგვარი დებიუტი ექნება.

„სამხრეთამერიკული გუნდების წინააღმდეგ კოპა ამერიკაზე მითამაშია და ვიცი, როგორი ძნელიც არის მათ წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა, ცხადია, ეს სულაც არ მაშინებს. იმედი მაქვს, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ვადამდე მოვიპოვებთ“ — თქვა რონალდომ.

კოლუმბიელთა მწვრთნელმა ფრანსისკო მატურანამ კი აღნიშნა, ჩვენი ნაკრები დღეს გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ოთხი წლის წინ იყო: „ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. მოედანზე ბრაზილიელთათვის ტაშის დასაკრავად არ გავალთ, ჩვენ მათთან ვიბრძოლებთ“.

კოტე კეკელია

საკვარაუდო შემადგენლობები

კოლუმბია: ოსკარ კორდობა, გონსალო მარტინესი, ივან რამირო კორდობა, მარიო იეპესი, ხერარდო ბეტოია, ფაბიან ვარგასი, ხორხე ლოპეს კაბალიერო, ხაირო პატინო, ჯოვანი ერნანდესი, ვიქტორ უგო არისტისაბალი, ხუან პაბლო ანხელი.

ბრაზილია: დიდა, კაფუ, როკე ჟუნიორი, ლუსიო, რობერტო კარლოსი, ჟილბერტო სილვა, ემერსონი, ალეში; ზე რობერტო, რონალდო, რივალდო.

მსაჯი: ორაციო ელისონდო (არგენტინა)

II ჯგუფი

ბოსნია-ჰერცოგოვინა – ნორვეგია
რუმინეთი – ლუქსემბურგი

დანია	6	4	1	1	12:6	13
ნორვეგია	6	3	2	1	8:4	11
რუმინეთი	6	3	1	2	15:7	10
ბოსნია	5	2	0	3	4:7	6
ლუქსემბურგი	5	0	0	5	0:15	0

IV ჯგუფი

ლატვია – პოლონეთი
შვედეთი – სან მარინო

შვედეთი	5	3	2	0	12:2	11
უნგრეთი	6	3	2	1	13:4	11
ლატვია	5	3	1	1	6:3	10
პოლონეთი	5	2	1	2	7:4	7
სან მარინო	7	0	0	7	0:25	0

VI ჯგუფი

სომხეთი – საბერძნეთი
უკრაინა – ჩრდ. ირლანდია

საბერძნეთი	6	4	0	2	6:4	12
ესპანეთი	6	3	2	1	10:3	11
უკრაინა	6	2	3	1	10:8	9
სომხეთი	5	1	1	3	6:11	4
ჩრდ. ირლანდია	5	0	2	3	0:6	2

VIII ჯგუფი

ბულგარეთი – ესტონეთი
ანდორა – ხორვატია

ბულგარეთი	5	3	2	0	8:3	11
ხორვატია	5	3	1	1	7:2	10
ბელგია	6	3	1	2	7:8	10
ესტონეთი	6	2	2	2	4:2	8
ანდორა	6	0	0	6	1:12	8

სტილიან პეტროვს ბულგარეთის ნაკრების კაპიტნობა შეაბეს

რონალდინიო თქვენ გაგაგიჟებთ
ბრაზილიელი ლეგენდები ლეგენდას ჰქმნიან



რონალდინიო, კატალონიური „ბარსელონასა“ უძვირფასესი მარგალიტი ბრაზილიელი ლეგენდების რჩეულიც ყოფილა. ამ ორი დღის წინ ბარსელონული „სპორტის“ ჟურნალისტები რონალდინიოს თვალუწვდენელი სამშობლოს სივრცეში გაიფანტნენ, რათა იქაური მითადქცეული ძველი საფეხბურთო ლომების აზრები მოესმინათ. ჭეშმარიტად დიდი მობურთალია „ბარსას“ ამჟამინდელი მე-10 ნომერი, რასაც ოდინდელი მძვინვარე მეფე-მობურთალნიც გულწრფელად აღიარებენ. „რონალდინიო „ბარსელონას“ ფანტასტიკურ წარმატებებს მოუტანს. ამ ბიჭს არაამქვეყნიური ტალანტი აქვს. „სევილიასთან“ რომ გოლი შეაგდო, ისეთები 15 წლისასაც გაჰქონდა. ფეხბურთის საოცრებაა — უთხრა კატალონიელებს პორტუალეგრეში პაულო რობერტო ფალკაომ, 1982 წლის ბრაზილიის დაუვიწყარი ნაკრების ასევე დაუვიწყარმა მობურთალმა რომის ხელმწიფემ“ (სერია A-ში თამაშისას აკურთხეს ასე) — ესპანეთში სეზონი ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ რონალდინიოს აშკარად ეტყობა, რა სასწაულების მოხდენაც შეუძლია. შარშანდელზე გაცილებით ძლიერად გამოიყურება“.

ჟურნალისტებმა სან პაულუში სოკრატესს მიაკითხეს. „რონალდინიო უდიდესი ფეხბურთელია. „ბარსელონაში“ თამაში საკუთარი ძალების მთლიანად გამოყენებაში დაეხმარება. სულ ცოტა ხანიც და მსოფლიოს საუკეთესოდ დაასახელებენ. არაჩვეულებრივი სილამაზის გოლი შეაგდო, მეამაყება, რომ ასეთი ბურთების გატანა აქ, ბრაზილიაში ისწავლა. ჩვენი თაობის ვერც ერთ მობურთალს ვერ შევადარებ — რონალდინიო ერთადერთი და განუმეორებელია“ — მგზნებარედ თქვა თავის დროზე ბრწყინვალე ფინტებისა თუ ქუსლური პასების გამო „EL DOCTOR“-ად მონათლულმა ლეგენდარულმა წვეროსანმა. მერე ჟუნიორის ჟამიც დადგა. 80-იანების რიოელმა ფალავანმა „ფლამენგოს“ შემადგენლობაში ყველაფერი მოიგო — რეგიონული მცირე ტიტულებით დაწყებული და საკონტინენტთაშორისო თასით დამთავრებული.

„რონალდინიო „ბარსას“ გამარჯვების სიმბოლოა. ესპანური ლიგა მისთვის ზედგამოჭრილი იქნება, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩემპიონატში მისი ნიჭი საოცრად იფეთქებს. საფრანგეთის პირველობა, სადაც რონი ადრე თამაშობდა, დღევანდელ მის ადგილსამყოფელთან შედარებით სასაცილოდ სუსტი მეჩვენება. გოლზე მეკითხებით? ასეთებს მან უკვე მიგვაჩვია. განა 99-ის „კოპა ამერიკაზე“ რომ შეაგდო, „სევილიასთან“ გატანილზე უკეთესი არ იყო?“ — განცვიფრებით იკითხა ჟუნიორი.

დიდმა ჟაირზინიომ რონალდინიო ფეხბურთის გენიალურ არტისტს შეადარა. „ის არტისტია, ღმერთს გეფიცებით, ის გენიალური მსახიობია, რომელიც ფეხბურთში არანორმალურად კარგ როლებს თამაშობს. ეს ჯერ კიდევ არაა მისი საბოლოო მწვერვალი, ნახეთ, ბიჭუნამ „ბარსელონასთან“ ერთად მთელი ევროპა ჭკუაზე თუ არ შეშალოს“ — დაბეჯითებით იწინასწარმეტყველა რონალდინიოს ერთ-ერთმა პირველადმომჩენმა.

ლადო ხოფერიძე

„რომას“ ანტონიო კასანო არ ეთმობა

ვიფიქროთ მომავალზე
ემერსონს და კასანოს დრო გადაუწიეს

„რომა“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ემერსონთან და ახალგაზრდა იტალიელ ფორვარდ ანტონიო კასანოსთან კონტრაქტის გახანგრძლივებას ლამობს.

ცოტა ხნის წინ ემერსონის შეძენა ლონდონის „ჩელსის“ სურდა, რომელიც იტალიელებს 20 მილიონ გირვანქას სთავაზობდა, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. „რომას“ პრეზიდენტ ფრანჩეს კი სენსის თუ დავუჯერებთ, ბრიტანელები ბოლოს 27 მილიონსაც კი იძლეოდნენ, მაგრამ მან „არისტოკრატები“ მაინც უარით გაისტუმრა.

სენსი და კომპანია ემერსონს, რომელსაც მოქმედი კონტრაქტი 2005 წლის ზაფხულში ეწურება, 2008 წლამდე სთავაზობენ რომში დარჩენას და ჯამაგირის მომატებასაც ჰპირდებიან. თუმცა ბრაზილიელი ჯერჯერობით თავს იკავებს და თუ იგი საბოლოოდ უარს იტყვის, დიდი შანსია, „რომამ“ სამხრეთამერიკელი ნახევარმცველი იანვარში ან ამ სეზონის დასრულების შემდეგ გაყიდოს. 2005 წელს ხომ ემერსონი თავისუფალი აგენტი გახდება და რომაელები ვერანაირ სარგებელს ვერ ნახავენ.

ანტონიო კასანო კი „რომას“ მთავარი იმედია, ახალგაზრდა ფეხბურთელი 2006 წლამდე ისედაც კლუბის საკუთრებაა, მაგრამ რომაელები მაინც ჩქარობენ და კასანოს ახალ, გაუმჯობესებულ კონტრაქტს სთავაზობენ, რომლის თანახმადაც იგი 2009 წლამდე „სტადიო ოლიმპიკოზე“ უნდა დარჩეს.

ბიორგი ძაძაბაძე

ხალილუ ცარიელი გულია
ფადიგა ჯანმრთელობის ცნობას რომში აიღებს

სენეგალელი ხალილუ ფადიგას აგენტი ირწმუნება, რომ მის კლიენტს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემები არ აქვს და ამაში სულ ცოტა ხანში ყველა დარწმუნდება.

შეგახსენებთ, რომ ზაფხულის დასაწყისში ფადიგა „ინტერმა“ შეიძინა. ექტორ რაულ კუპერს იგი მარცხენა ფლანგის გასამაგრებლად ესაჭიროებოდა, თუმც კლუბთან ერთად რამდენიმედღიანი ვარჯიშის შემდეგ სენეგალელი სამედიცინო შემოწმებაზე ჩავარდა. ექიმებმა გულთან დაკავშირებული პრობლემები აღმოუჩინეს და განაცხადეს, რომ იგი სრული დატვირთვით ვერ ითამაშებდა, რის მერეც იტალიელებმა მასთან კონტრაქტის გაწყვეტა მოინდომეს.

ფეხბურთელის აგენტმა ისა ტრორემ კი ასეთი კომენტარი გაკეთა: „ფადიგა თავს მშვენივრად გრძნობს. გულთან დაკავშირებული გაურკვევლობა ვირუსმა გამოიწვია, რომელიც მას იმ დროს შეეყარა. ხალილუმ ბოლო 40 დღე ოჯახთან ერთად ბელგიაში გაატარა, სადაც ექიმებსაც გაესინჯა და ანალიზებმა ყველამხრივ დადებითი შედეგები აჩვენეს. ამაში მალე ყველა დარწმუნდება. იგი რომში სრულ სამედიცინო შემოწმებას გაიელის, რომლის პასუხსაც ჩვენ საჯაროდ გამოვიტანთ და ყველას დავუმტკიცებთ, რომ ხალილუ ჯანმრთელია“.

არ წყდება საუბრები „ინტერიდან“ წასული ალვარო რეკობას წასვლის თაობაზე. მისით სერია A-ში დაბრუნებული გენუის „სამპდორია“ არის დაინტერესებული. ურუგვაელს ჩემპიონატის პირველ ტურში „მოდენას“ წინააღმდეგ არ უთამაშია, რამაც უფრო გაამწვავა მითქმა-მოთქმა.

რეკობას გუნდიდან წასვლაზე ლაპარაკი მთელი ზაფხულს გრძელდება, მაგრამ მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ ურუგვაელი ისევ მის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ფეხბურთელად რჩება და არანაირ ტრანსფერზე არ არის ლაპარაკი. თუმცა ჭორებაი მაინც თავისას აკეთებს და, თუ მათ დავუჯერებთ, დიდი შანსია, რეკობამ იანვარში „შავ-ლურჯების“ რიგები დატოვოს.

ბიორგი ძაძაბაძე



სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

ინგლისი. I დივიზიონი. VI ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00 002	ვილინგემი-მილუოლი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00 005	სტოკი-ბარნლი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76

ინგლისი. II დივიზიონი. VI ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
16.05 008	ბორნმუთი-ბრისტოლი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
19.00 009	ბრენტფორდი-პლიმუთი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
19.00 010	ბრაიტონი-სუინდონი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
19.00 011	ჩესტერფილდი-ბარნსლი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
19.00 012	კოლჩესტერი-ქუინს პარკი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
19.00 013	ვრიმსბი-პიტერბრო	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00 014	ჰარგლპული-ოლდემი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
19.00 015	ნოგსი-ლუტონი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
19.00 016	რაშფენი-უიკომბი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
19.00 017	უენსდი-ტრანმერი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
19.00 018	სტოკპორტი-პორტ ვეილი	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38

ინგლისი. III დივიზიონი. VI ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
17.00 024	იოვილი-სუონსი	2,3	3,3	2,7	1,35	1,24	1,48
19.00 025	ბოსტონი-სკანთორპი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
19.00 026	როთერჰამ-კიდერმინსტერი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
19.00 027	ბერი-ჰადერსფილდი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
19.00 028	დარლინგტონი-კარლაილი	1,8	3,4	3,6	1,17	1,19	1,74
19.00 029	მენსფილდი-მაკლსფილდი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
19.00 030	ოქსფორდი-საუთენდი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
19.00 031	ტორკი-ლეიტონი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
19.00 032	იორკი-როჩდეილი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72

8 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
24.00 033	დონკასტერი-ჰალი	2,45	3,2	2,5	1,38	1,23	1,4

ინგლისი. კონფერენსი. VII ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00 037	ბარნეტი-აკრინგტონი	1,75	3,4	4,0	1,15	1,21	1,83
19.00 038	ბარტონი-უოკინგი	2,3	3,4	2,6	1,37	1,22	1,47
19.00 039	დაგ ენდ რედი-ტელფორდი	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
19.00 040	ექსეტერი-სტივენეიჯი	2,35	3,3	2,6	1,37	1,23	1,45
19.00 041	ფარნბორო-პერეფორდი	3,5	3,4	1,85	1,72	1,21	1,19
19.00 042	ჰალიფაქსი-ნორთვიჩი	1,75	3,4	4,0	1,15	1,21	1,83
19.00 043	ლეი-ფორესტ გრინი	1,9	3,4	3,4	1,21	1,21	1,7
19.00 044	მარგეიტი-ჩესტერი	3,3	3,3	2,0	1,65	1,24	1,24
19.00 045	მორეკომბი-ალდერშოტი	2,15	3,4	2,9	1,31	1,23	1,56
19.00 046	სკარბორო-გრეივსენდი	1,8	3,4	3,6	1,17	1,19	1,74

7 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
16.30 047	შრიუსბერი-ტემუორთი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25

შოტლანდია. III დივიზიონი. V ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00 051	ალბიონი-ელგინი	1,65	3,6	4,2	1,13	1,18	1,93

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VI ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
17.00 052	კილი-სტ.პაული	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
17.00 053	ვუპერტალი-მიუნსტერი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
17.00 054	პადერბორნი-ურდინგენი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87

7 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
17.00 055	ლაიპციგი-კოლნი(მ)	2,25	3,3	2,7	1,33	1,22	1,48
17.00 056	დორტმუნდი(მ)-ვერდერი(მ)	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
17.00 057	ჰამბურგი(მ)-დინამო	2,3	3,3	2,6	1,35	1,22	1,45
17.00 058	ქემნიცი-ბრაუნშვაიგი	2,3	3,3	2,6	1,35	1,22	1,45
18.00 059	შალკე(მ)-ნიმიუნსტერი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
21.00 060	ესენი-ვაკენშაიდი	1,95	3,3	3,3	1,22	1,22	1,65

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VI ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
17.30 069	აალენი-კეერსი	2,05	3,3	3,1	1,26	1,23	1,59
17.30 070	შვაინფურტი-ოფენბახი	2,9	3,3	2,15	1,54	1,23	1,3
17.30 071	ვეენი-ელვერსბერგი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
17.30 072	მაინცი(მ)-აუგსბურგი	2,9	3,3	2,15	1,54	1,23	1,3
17.30 073	შტუტგარტი(მ)-პოფენჰაიმი	1,95	3,3	3,3	1,22	1,22	1,65
17.30 074	ფუსლენდორფი-ფოიხტი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8

7 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
17.00 075	ერფურტი-ეშბორნი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
18.00 076	ბაიერნი(მ)-ხიგენი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09

ესპანეთი. II დივიზიონი. II ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
21.30 132	ლევანტე-ელჩე	1,8	2,9	4,4	1,11	1,27	1,74
22.00 133	სერესი-რაიო	2,35	2,8	3,0	1,27	1,31	1,44
23.00 134	ლას პალმასი-ლევანესი	1,75	3,0	4,6	1,1	1,26	1,81

7 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
14.30 135	ხეტაფე-ალმერია	2,0	2,8	3,8	1,16	1,31	1,61
15.00 136	ალავესი-სპორტინგი	1,9	2,9	4,0	1,14	1,28	1,68
21.00 137	ეხიდო-ტერასა	2,15	2,8	3,4	1,21	1,31	1,53
21.00 138	მალაგა(ბ)-კადისი	2,2	2,8	3,5	1,23	1,35	1,55
21.00 139	ალხესირასი-ტენერიფე	2,6	2,8	2,6	1,34	1,3	1,34
21.00 140	სალამანკა-ნუმანსია	2,0	2,8	3,8	1,16	1,31	1,61
22.00 141	კორდობა-სიუდადი	1,95	2,8	4,0	1,14	1,31	1,64
23.00 142	უელვა-ეიბარი	1,8	2,8	4,6	1,09	1,29	1,74

პორტუგალია. სუპერლიგა. I ტური

7 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00 159	ბელენენსეში-ამადორა	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02

პორტუგალია. II ლიგა. I ტური

7 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00 164	ფელგეირაში-სალგეირუში	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36

ბელგია

II კლასი. IV ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
21.15 178	ვისეტი-ვირტონი	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
22.30 179	ვეელი-ეეპენი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
23.00 180	ბრიუსელი-დაინცე	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
23.00 181	ტუბეკე-რონსე	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
23.00 182	რუქსელარე-სპორტინგი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
23.00 183	ოსტენდე-დენდერლეუ	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64

7 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00 184	ვიგორი-დესელი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
18.00 185	აალსტი-ტინენი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
18.00 186	ვარეგემი-პატრო	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. VIII ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
20.30 199	კონკორდია-ივერდონი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
20.30 200	ბუკლე-ლუცერნი	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
20.30 201	დელემონი-ანიო	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
22.30 202	მეირინი-ვინტერთური	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
22.30 203	კიასო-ბადენი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87

დანია

I დივიზიონი. VIII ტური

6 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00 206	ფკ ორჰუსი-სილკებორგი	5,3	4,4	1,4	2,4	1,1	1,06

შვედეთი. სუპერეტა. XXIII ტური

7 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00 210	ბოდენსი-ტრელებორგი	2,6	3,5	2,2	1,49	1,19	1,35
21.00 211	ფალუნბერგი-ნორჩიოპინგი	2,4	3,4	2,2	1,4	1,14	1,33
21.00 212	აგვიდაბერგი-ბრომაპოიკარნა	1,85	3,4	3,4	1,19	1,19	1,7

8 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00 213	სილვია-ოპერა	3,2	3,5	1,9	1,67	1,19	1,23
22.00 214	ვესტეროსი-ფორვარდი	1,5	3,8	5,3	1,07	1,16	2,21
22.00 215	იფკ მალმიო-კალმარი	3,2	3,5	1,9	1,67	1,19	1,23

ნორვეგია. I დივიზიონი. XXII ტური

7 სექტემბერი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00 219	მოსი-ოსლო იოსტი	1,65	3,6	4,2	1,13	1,18	1,93
19.00 220	პიონეფოსი-რაუფოსი	1,9	3,6	3,1	1,24	1,17	1,66
19.00 221	პამარი-პიოდი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	222	[illegible]-იორნი	1,45	4,4	5,0	1,09	1,12	2,34
19.00	223	[illegible]-მანდალი	3,5	4,0	1,7	1,86	1,14	1,19
19.00	224	[illegible]-სანდეფიორდი	2,3	3,6	2,4	1,4	1,17	1,44
19.00	225	[illegible]-[illegible]	1,85	3,8	3,1	1,24	1,15	1,7
19.00	226	ბერგენი-ფრედრიქსტადი	3,4	3,8	1,75	1,79	1,15	1,19

ირლანდია

პრემიერლიგა. XX ტური

7 სექტემბერი

19.15	234	[illegible]-კორკი	3,4	3,2	1,95	1,64	1,23	1,21

ჩილე. კლაუსურა. V ტური

7 სექტემბერი

01.30	243	[illegible]-[illegible]	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47

მექსიკა

აპერტურა. VI ტური

6 სექტემბერი

01.00	244	საგარესი-პუმასი	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41
03.05	246	მორელია-ნეკახა	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
05.00	247	სან ლუისი-ტეკოსი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
06.05	248	[illegible]-[illegible]	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55

7 სექტემბერი

22.00	250	პახუკა-პ�ბლა	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
24.00	251	ცერეტარო-ჩივასი	2,8	3,2	2,15	1,49	1,21	1,28
22.00	252	ამერიკა-ირაპუატო	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
02.00	253	სანტოსი-ვერაკრუსი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6

აშშ. MLS. XXIII ტური

6 სექტემბერი

04.30	257	[illegible]-[illegible]	2,1	3,0	3,3	1,23	1,28	1,57
05.00	258	კანზასი-სიტი იორკი	2,3	3,0	2,9	1,3	1,28	1,47
06.00	259	კოლორადო დალასი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
06.00	260	ჩიკაგო-კოლამბუსი	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95

7 სექტემბერი

00.30	261	სან ხოსე-ნიუ ინგლენდი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81

იაპონია

ჯეი ლიგა. XIX ტური

6 სექტემბერი

11.30	264	ივატა-ჩერეძო	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
15.00	265	გამბა-ურავა	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
15.00	266	კობე-შიმიცუ	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
15.00	267	სენდაი-ნაგოია	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
15.00	268	ვერდი-კიოტო	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
15.00	269	იოკოჰამა-კაშივა	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67

7 სექტემბერი

15.00	270	იჩიჰარა-კაშიმა	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
15.00	271	ოიტა-ტოკიო	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3

ევრო 200

შესარჩევი მატჩები

6 სექტემბერი

19.00	310	შვედეთი-სან მარინო	1,01	11,0	40,0	1	1	8,62
	311	შვედეთი-სან მარინო 0:3	1,7	5,0	2,3			
19.00	312	შოტლანდია-ფარერები	1,1	7,5	17,0	1	1,03	5,2
	313	შოტლანდია-ფარერები 0:1	1,35	3,5	5,0			
19.00	314	ანდორა-ხორვატია	20,0	7,0	1,1	5,18	1,04	1
	315	ანდორა-ხორვატია 1:0	5,0	3,5	1,35			
19.00	316	აზერბაიჯანი-ფინეთი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
20.00	317	ირლანდია-რუსეთი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.00	318	საქართველო-ალბანეთი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
20.00	319	ბულგარეთი-ესტონეთი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	320	ბულგარეთი-ესტონეთი 0:1	1,65	3,3	3,3			
20.30	321	ბელარუსი-ჩეხეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
	322	ბელარუსი-ჩეხეთი 1:0	2,7	3,2	1,9			
21.00	323	სომხეთი-საბერძნეთი	4,8	3,5	1,6	2,02	1,2	1,09
21.15	324	უკრაინა-ჩრდ.ირლანდია	1,1	7,5	17,0	1	1,03	5,2
	325	უკრაინა-ჩრდ.ირლანდია 0:1	1,35	3,5	5,0			
21.30	326	მაკედონია-ინგლისი	9,0	4,6	1,3	3,04	1,13	1,01
	327	მაკედონია-ინგლისი 1:0	3,0	3,4	1,7			
21.30	328	რუმინეთი-ლუქსემბურგი	1,01	12,5	30,0	1	1	8,82
	329	რუმინეთი-ლუქსემბურგი 0:3	2,0	5,0	1,9			
22.30	330	ლატვია-პოლონეთი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
22.30	331	ისლანდია-გერმანია	6,0	3,8	1,5	2,32	1,2	1,07
23.00	332	ლიხტენშტაინი-თურქეთი	30,0	11,0	1,02	8,04	1	1
	333	ლიხტენშტაინი-თურქეთი 2:0	2,1	5,0	1,8			
23.15	334	სლოვენია-ისრაელი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
23.15	335	ბოსნია-ნორვეგია	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.30	336	ჰოლანდია-ავსტრია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	337	ჰოლანდია-ავსტრია 0:1	1,65	3,3	3,3			
23.45	338	საფრანგეთი-კვიპროსი	1,05	9,0	25,0	1	1	6,61
	339	საფრანგეთი-კვიპროსი 0:2	1,65	5,0	2,4			
23.45	340	იტალია-უელსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	341	იტალია-უელსი 0:1	1,9	3,2	2,7			

მზ შესარჩევი მატჩები

6 სექტემბერი

24.00	370	არგენტინა-ჩილე	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	371	არგენტინა-ჩილე 0:1	1,75	3,2	3,0			
02.00	372	ეკვადორი-ვენესუელა	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	373	ეკვადორი-ვენესუელა 0:1	2,05	3,2	2,45			
05.20	374	პერუ-პარაგვაი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57

7 სექტემბერი

24.00	375	ურუგვაი-ბოლივია	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	376	ურუგვაი-ბოლივია 0:1	1,75	3,2	3,0			
02.00	377	კოლუმბია-ბრაზილია	3,3	3,2	2,1	1,62	1,28	1,26

ამხანაგური მატჩი

6 სექტემბერი

01.00	378	პორტუგალია-ესპანეთი	2,4	3,0	2,9	1,33	1,31	1,47

რამდენი გოლი გავა მატჩში, (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

6 სექტემბერი

20.00	5211	ირლანდია-რუსეთი	1,8	1,8
22.30	5212	ლატვია-პოლონეთი	1,8	1,8
23.15	5213	სლოვენია-ისრაელი	1,8	1,8
23.45	5214	იტალია-უელსი	1,8	1,8
05.20	5215	პერუ-პარაგვაი	1,8	1,8

7 სექტემბერი

02.00	5216	კოლუმბია-ბრაზილია	1,9	1,7

რეგიონალ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		6 სექტემბერი			
20.00	5511	ირლანდია-რუსეთი	3,0	2,8	2,0
22.30	5512	ლატვია-პოლონეთი	3,0	2,8	2,0
23.15	5513	სლოვენია-ისრაელი	3,0	2,8	2,0
23.45	5514	იტალია-უელსი	3,0	2,8	2,0
05.20	5515	პერუ-პარაგვაი	3,0	2,8	2,0
		7 სექტემბერი			
02.00	5516	კოლუმბია-ბრაზილია	3,0	2,8	2,0

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		6 სექტემბერი						
20.00	5011	ირლანდია-რუსეთი	2,3	2,1	4,6	1,09	1,53	1,44
22.30	5012	ლატვია-პოლონეთი	3,3	2,1	2,9	1,28	1,54	1,21
23.15	5013	სლოვენია-ისრაელი	2,2	2,1	5,0	1,07	1,52	1,47
23.45	5014	იტალია-უელსი	1,65	2,6	7,0	1	1,33	1,89
05.20	5015	პერუ-პარაგვაი	2,7	2,1	3,5	1,18	1,52	1,31
		7 სექტემბერი						
02.00	5016	კოლუმბია-ბრაზილია	3,8	2,1	2,5	1,35	1,5	1,14

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

როგორი გუნდი გასწნის მატჩში ანგარიშს, (ძირითადი დრო)
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესაძლო ფაზებულად ჩაითვლება)

6 სექტემბერი

20.00	5411	ირლანდია-რუსეთი	1,65	2,3
22.30	5412	ლატვია-პოლონეთი	2,0	1,8
23.15	5413	სლოვენია-ისრაელი	1,55	2,5
23.45	5414	იტალია-უელსი	1,2	4,0
05.20	5415	პერუ-პარაგვაი	1,8	2,0

7 სექტემბერი

02.00	5416	კოლუმბია-ბრაზილია	2,2	1,7

ბაიტანს თუ არა ორივემ გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		6 სექტემბერი		
20.00	5311	ირლანდია-რუსეთი	1,7	1,9
22.30	5312	ლატვია-პოლონეთი	1,7	1,9
23.15	5313	სლოვენია-ისრაელი	1,7	1,9
23.45	5314	იტალია-უელსი	1,95	1,65
05.20	5315	პერუ-პარაგვაი	1,7	1,9
		7 სექტემბერი		
02.00	5316	კოლუმბია-ბრაზილია	1,7	1,9

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		6 სექტემბერი									
20.00	5111	ირლანდია-რუსეთი	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	6,5	20,0	10,0	5,3
22.30	5112	ლატვია-პოლონეთი	4,0	10,0	20,0	5,0	4,4	4,6	20,0	10,0	3,6
23.15	5113	სლოვენია-ისრაელი	2,6	10,0	20,0	3,6	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
23.45	5114	იტალია-უელსი	1,7	15,0	30,0	3,4	4,8	14,0	25,0	12,0	12,0
05.20	5115	პერუ-პარაგვაი	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	5,6	20,0	10,0	4,6
		7 სექტემბერი									
02.00	5116	კოლუმბია-ბრაზილია	5,0	10,0	20,0	6,0	4,4	4,0	20,0	10,0	3,2

ეროპოს დიდების ბიურო (წერეთლის გამზირი, ეორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს

დიდველზე მეოცნებე კაცის ფიქრები

ბაკურიანში მზიური ველის სერენადა გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, როცა ქართველმა მთამსვლელებმა იქაური ბოტანიკური ბაღის დირექტორის, წარმოშობით პოლონელი ვლადიმერ კოზლოვსკის სახლში თხილამურები პირველად ნახეს. 1931-1932 წლების ზამთარში ბაკურიანში გაიხსნა საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების სამთო-სათხილამურო სადგური. ამან დასაბამი მისცა ამ საქმის განვითარებას, პირველი სასწვლო სამთო-სათხილამურო ლაშქრობა კი სანდრო გვალის მეთაურობით 1932 წლის 19 თებერვალს ცხრაწყაროზე ასვლით მოეწყო. მერე და მერე ბაკურიანი და თხილამურები ქართველი კაცისთვის ლამის სინონიმები გახდა. ბაკურიანში აშენდა სათხილამურო ბაზები, სკოლები, ტრამპლინები, მოეწყო სამთოთხილამურებისა და სარბოლო ტრასებიც, საცივაოც...

ბაკურიანმა უმასინძლა არაერთ დიდ შეჯიბრებას, მათ შორის საბჭოთა კავშირის ხალხთა ორ ზამთრის სპარტაკიადასაც. აქვე მსოფლიოს ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებები არა მხოლოდ ზამთრის, არამედ ზაფხულის სახეობებშიც. ისინი ბაკურიანის მზიური ველიდან დაბის სხვადასხვა მხარეს მიემართებოდნენ, სადაც უნიკალურ თოვლთან ერთად უნიკალური ტრასებიც ეგულებოდათ. ამიტომაც ეს იყო მზიური ველის სერენადის დროება, რომელიც მერე ყველას გადაავიწყდა, როცა საბჭოთა იმპერიას გამოვეყავით და ჩვენი სამოთხესავით ქვეყანა ჯოჯოხეთად გვექცა. გაიძარცვა, გატიალდა და გავერანდა ბაკურიანის ბაზებიცა და ტრასებიც, რომლებიც ყველამ დავივიწყეთ.

ბოლო წლებში ისევ ვიხსენებთ და ბაკურიანის აღდგენა-განახლებას ვცდილობთ. ამ საქმეში, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი, ცნობილი მეწარმე და კომპანია „ყაზბეგის“ პრეზიდენტი, პარლამენტარი გოგი თოფაძე გამოირჩევა. იმ მძიმე წლებში, როცა ზამთრის სახეობები დაღუპვის პირას იდგა, როცა საქართველოს ნაკრები აღარ ჰყავდა და საერთაშორისო ასპარეზობები უჩვენოდ მიმდინარეობდა, მხსნელად გოგი თოფაძე მოგვევლინა და დღეს სულ სხვა სურათია. თუმცა, გოგი თოფაძე არამხოლოდ თავის სამწყსოს, არამედ სპორტის სხვა სახეობათა



გოგი თოფაძე: მე ამ მთაზე ავაშენებ...



1 — ბაკურიანი, 2 — მიტარბი, 3 — დიდველი და მისი მომავალი ტრასები

სიმბოლურად ასე დაიწყო დიდველზე მშენებლობა

ვურაბ დოლიძაშვილის ფოტო

წარმომადგენლებსაც ხშირად უწვდის დახმარების ხელს.

გვახსენდება 2002 წელიც, ესპანეთის ქალაქ მურსიაში გამართული ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეებიც, სადაც საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობა სწორედ გოგი თოფაძის შემწეობით მოხერხდა. ამიტომაც ხუმრობდნენ მაშინ, მოდით, გოგი თოფაძე სპორტის ყველა სახეობათა ფედერაციების პრეზიდენტად ავირჩიოთ და მთავრობასთან სახვეწარიც აღარაფერი გვექნებაო.

მაგრამ თოფაძის მთავარი საზრუნავი მაინც სამთო-სათხილამურო სპორტია.

„მისი განვითარება ქვეყნისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს, რადგან ჩვენი ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას იძლევა, მით უმეტეს, რომ სათხილამურო ტურიზმის განვითარება ქვეყნისთვის ძალზე მომგებიანია — ამბობს გოგი თოფაძე — მოგეხსენებათ, სამთო სათხილამურო სპორტი და ტურიზმი არაერთი ქვეყნის ეკონომიკაში ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამის საუკეთესო მაგალითია ავსტრია, შვეიცარია, კანადა... სწორედ ამიტომ სპორტის ეს სახეობა ჩვენთვის ზედგამოჭრილია — გვაქვს შესანიშნავი მთები, თოვლი... გვყავს მუხლმაგარი ახალგაზრდობა...

ასე რომ, თუ ყველაფერს შესაბამისად მივუდგებით, შედეგიც არ დააყოვნებს. მართალია, დღეს დიდი კონკურენციაა სათხილამურო სპორტში, მაგრამ პერსპექტივა არსებობს“.

პერსპექტივაში, უწინარეს ყოვლისა, გოგი თოფაძე ბაკურიანის სპორტულ-ტურისტულ ცენტრად მოწყობას გულისხმობს, რაც მისი ძველი ოცნებაა. ამ ოცნების შესახებ იგი მოგვითხრობს ჯუმბერ ხანთაძესთან ერთად დაწერილ მშვენიერ წიგნში „თხილამურებით მთაში“, რომელიც ამ ოთხი წლის წინ გამოიცა.

ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, მაგრამ შორს ვერც მხოლოდ ოცნებით წასულა. ამიტომაც გოგი თოფაძემ ოცნების ფრთების შესხმა განიზრახა და ბაკურიანში, დიდველსა და მის მთებზე სპორტულ-ტურისტული კომპლექსის მშენებლობა განიზრახა. ამასთან დაკავშირებით დიდველზე სპორტულ-ტურისტული კომპლექსის მშენებლობის სიმბოლური გახსნაც მოეწყო. მზიური ველიდან დიდველზე გადმონაცვლებული სერენადის თაობაზე ჩვენ მეორე დღესვე ვიუწყებოდით. ვწერდით, რომ აქ აშენდება ათას კაცზე გათვალისწინებული ორი-ორი ხუთ და ოთხვარსკვლავიანი სასტუმროების კომპლექსი, სათხილამურო საბაგირო გზები, სხვადასხვა სპორტული მოედნები, სავაჭრო და გასართობი ცენტრები, ხიდები, გზები... ამ ... ამ მშენებლობასთან დაკავშირებით კითხვებიც გაგვიჩნდა.

აქ უპრიანია იმის გახსენება, რომ გოგი თოფაძე თავისი ოცნების განსახორციელებლად ცდილობდა, ამ საქმეში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაცია (ფის) ჩაერთო. მართლაც, 1998 წელს ბაკურიანს ეწვია ფის-ის პრეზიდენტი ჯან ფრანკო კასპერი და ფინანსური მენეჯერი ჯოზეფ მაინერი. ისინი აღფრთოვანებულნი დარჩნენ ბაკურიანით. მათ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ჩვენი ქვეყნის სათხილამურო ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად თითქოსდა საბოლოოდ გადაწყვიტეს ფის-ის პროგრამით საერთაშორისო სპორტული კომპლექსისა და ტურისტული ცენტრის მშენებლობა. ამისთვის მოსამზადებელი და საპროექტო სამუშაოებიც მიმდინარეობდა, რისთვისაც ფის-ი 400 ათასი დოლარის გამოყოფას აპირებდა, მაგრამ...

„სამწუხაროდ, საქართველოში და მთლიანად კავკასიაში მიმდინარე მოვლენები ნაკლებ სტიმულს იძლევა იმისთვის, რომ ფის-მა ამგვარი დახმარება აღმოგვიჩინოს — ამბობს გოგი თოფაძე — ჩვენს ქვეყანაში არც ფის-სა და არც სხვებს არ სურთ სერიოზული ინვესტიციების ჩადება. ჩვენზე ძალიან ცუდ გავლენას ახდენს ჩეჩნეთის პრობლემაც, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა გადაილახოს და ამიტომაც ვრისკავთ. ვიმედოვნებთ, ჩვენს მიერ დაწყებული საქმე სხვებისთვისაც სტიმული იქნება და გამოჩნდებიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი ინვესტორებიც.“

ამას რომ ამბობს გოგი თოფაძე, ბუნებრივად გვებადება კითხვა, ნეტა რისთვის აშენებს იგი დიდველს, როცა ინვესტორების გარდა უცხოელი ტურისტები და სპორტსმენებიც გვიფრთხიან, გვიფრთხიან კორუფციის, ლამის ყოველდღიური ყაჩაღობების, ძარცვა-ვლეჯის, ადამიანთა გატაცების გამო, მაგრამ, ეტყობა, გოგი თოფაძე, როგორც იტყვიან, გამოუსწორებელი ოპტიმისტია და ამბობს, სულ ასე ხომ არ იქნებაო. როცა იქნება, ხომ უნდა დავწყნარდეთო.

მაგრამ დაწყნარების შემთხვევაშიც კი გვეჩვენება, რომ [illegible] დიდველის მიდამოებით ქარიფველების მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი თუ ისარგებლებს, რადგან ოთხ და ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ხარჯებს მათი ჯიბე კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ვერ გასწვდება.

თუმცა, გოგი თოფაძეს ამაზეც უფიქრია და ამბობს, ჯერ ერთი, ფასები დიფერენცირებული იქნება, მეორეც, იქვე კოტეჯებსაც ავაშენებთ, სადაც ღამისთევა და ცხოვრება შედარებით იაფი დაჯდებაო.

ამას გარდა, კომპლექსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ გოგი თოფაძე იქ 2000 კაცის დასაქმებას ფიქრობს, რაც ბაკურიანისთვის საკმარისზე მეტიც კია.

— ასე რომ, თუ ყველაფერს შესაბამისად მივუდგებით, შედეგიც არ დაყოვნებს — იმედოვნებს გოგი თოფაძე

ერთი სიტყვით, გოგი თოფაძეს თავისი ოცნების ასრულებაში თუ არ დაეხმარებით, ხელს მაინც ნუ შეეშლით. ესეც დიდი საქმე იქნება.

ავთანდილ გურასაშვილი

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ბიბა გურასაშვილის ფოტო

გოგი თოფაძის შემწეობით საქართველოს სპორტსმენებმა ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზეც იასპარეზეს და სოლტ ლეიკ სიტის სარბიელზეც

იტალია — საქართველო

ტესტ-მატჩი. 6 სექტემბერი. ასტი. «ჟენსინ ბოსია». 20.00

ტესტი პირველი და უკანასკნელი

იტალიელებს ქუთაისელები მიაწვებიან

დღეს საქართველოს ნაკრები იტალიასთან მსოფლიოს თასის წინ თავის პირველ და ბოლო სრულფასოვან ტესტ-მატჩს გამართავს. აქამდე ბორჯღალოსნები ფრანგულ კლუბებს ესპარინგნენ და ნაიტალიევს ისევ ფრანგულ „ნიმს“ გაეჯიბრებინ ამხანაგურად

თქმა არ უნდა, დღევანდელი მატჩი მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად აქამდე გამართულ და გასამართ შეხვედრებს ერთად აღებულებს გადაწონის. ბოლოს და ბოლოს ჩვენებს თკით ექვსი ერის ჩემპიონი და მსოფლიო რაგბიში დაფასებული „სკუადრა აძურა“ გამოცდის.

დღეს კლოდ სორელი იტალიას იმ შემადგენლობას დაუპირისპირებს, რომელსაც მსოფლიოს თასზე დაეყრდნობა. საავსტრალიო ძირითად რაზმში ჰა-ჰა ორი კაცი გამოცვალოს.

კარგა ხანია, ვიცით, რომ ბორჯღალოსნებს არ ეყოლებათ ტრავმირებული ლევან ცაბაძე, რომლის მსოფლიოს თასზე მოხვედრის შანსი თითქმის არ არსებობს. სათადარიგოები იქნებიან ბეზიელი მორკინალები ვანო ნადირაძე და გოდერძი შველიძე, რომელთაც ფრანგული შეკრება გაუცდათ და იტალიასთან ამიტომაც ვერ მოხვდნენ დამწყებ 15 კაცში. დიდი ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა ქუთაისელი უნივერსალი უკანახაზელი, ბათუმის „დათვების“ მელელოკე გოჩა ხონელიძე, რომელიც იტალიასთან სამარქაფო ბეკი იქნება. ცაბაძისა და ტარიელ რატიანიძის არყოფნაში შერკინების მარჯვენა ბურჯად (3 ნომერი) დადგება ალეკო მარგველაშვილი, ვისაც რამდენიმე რუსულ კლუბში უთამაშია. ჩვენი მეზობლები მას გარუსებასაც უპირებდნენ, მაგრამ „მარგველამ“ სარფიანი წინადადება იუარა და ქართულ შანსს დაელოდა.


იტალიელთა თავკაცი ჯონ ქირვანი

სხვათა შორის, იტალიელებთან ჩვენი პირველი ხაზი „ქუთაისური“ იქნება. ავთო კოპალიანი, აქვსენტი გიორგაძე და ალეკო მარგველაშვილი პირველები მიიღებენ აპენინელთა მოძალებას და იქითაც პირველები მიაწვებიან.

აქვსენტი გიორგაძე ყველაზე კარგად იცნობს იტალიურ რაგბის. ბორჯღალოსანთა მრავალნაცადი ჰუკერი მეორე სეზონს იწყებს იტალიურ „როვიგოში“. აქვსენტიმ შარშან, იტალიურ „ოლ სტარშიც“ ითამაშა და ლელოც გაიტანა.

იტალიელებს არანაკლებ კარგად იცნობს ბორჯღალოსანთა კაპიტანი ილო ზედგინიძეც, რომელიც შარშან გიორგაძესთან ერთად „როვიგოში“ შერკინებას ამაგრებდა, მაგრამ წლეულს კლუბი თავისი ნებით დატოვა და კარიერის გაგრძელებას ინგლისში ან ავსტრალიაში ლამობს.

ავტორიტეტული სარაგბო საიტის „პლანეტ-რაგბი“ ჩვენებურთაგან სწორედ ზედგინიძეს არჩევს და ვარაუდობს, რომ იტალიელებს სწორედ ილო შეუქმნის ბევრ პრობლემას. იმავე „პლანეტ-რაგბის“ პროგნოზით, იტალია ქართველებს 30 ქულით დაამარცხებს, თუ ჩვენი მორკინალების შეჩერებას შეძლებს.

რაც შეეხება იტალიას, რომელსაც ლეგენდარული ახალზელანდიელი ჯონ ქირვანი წვრთნის, მსოფლიოს თასის წინ ეს იქნება ბოლო ტესტი. იტალიელები მაქსიმალურად შეეცდებიან, ქირვანისგან ნასწავლი მოედანზე სრულყონ და ბრგე ქართველებთან გამარჯვებით თასის წინ კარგი განწყობა შეიქმნან. ხასიათის გამოკეთება კი მათ აუცილებლად სჭირდებათ, რაკი ბოლო ორი ტესტი სამარცხვინოდ წააგეს შოტლანდიასთან (15:47) და ირლანდიასთან (6:61).

ქირვანმა ქართველებთან სათადარიგო სკამზე დასვა იტალიელთა ვარსკვლავი მაურო ბერგამასკო, მისი ადგილი კი მის სეხნიას მირკო ბერგამასკოს ჩაბარა. „სკუადრა აძურას“ კვლავ ალესანდრო ტრონკონი (9 ნომერი) უკაპიტნებს, ხოლო გაიტალიელებული რუმინელი კრისტიან სტოიკა ისევ დაცვის ცენტრს გაამაგრებს. რაც შეეხება წარმოშობით არგენტინელს და იტალიელთა ყველა დროის უპირველეს მექუსე დიეგო დომინგესს, მან სანაკრებო კარიერა დაასრულა. დომინგესის მაგივრობას ახალგაზრდა რამირო პეცი გასწევს, ვისაც არანაკლებ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და სადაცაა, ევროპული რაგბის საკლუბო გრანდი „ლესტერ თაიგერზი“ გაუფორმებს კონტრაქტს.

სხვაფრივ კი იტალია და საქართველო მესამედ ხვდებიან ერთმანეთს. პირველად 1998 წელს ლაკვილაში მასპინძლებმა 31:14 მოუგეს ბორჯღალოსნებს. მეორედ იტალია და საქართველო 2000 წელს შეერკინნენ. ლივორნოში „სკუადრა აძურამ“ 51:7 დაამარცხა ჩვენები. დღევანდელ მატჩი ტურინიდან საათის სავალზე, პატარა ქალაქ ასტიში გაიმართება და მის ვიდეოჩანაწერს თვით ბრიტანული ტელევეშაპი „SKY SPORT“ გადმოცემს.

ბაჩო სვანიძე


ილია ზედგინიძე

იტალია		საქართველო
გონსალო კანალე	15	ბესიკ ხამაშურიძე
მირკო ბერგამასკო	14	მალხაზ ურჯუკაშვილი
კრისტიან სტოიკა	13	თედო ზიბზიბაძე
ჯოვანი რაინერი	12	ირაკლი გიორგაძე
ნიკოლა მაცუკატო	11	ირაკლი მაჩხანელი
რამირო პეცი	10	პალიკო ჯიმშელაძე
ალესანდრო ტრონკონი (კაპ)	9	ირაკლი აბუსერიძე
სერჯო პარისე	8	ილია ზედგინიძე (კაპ)
არონ პერსიკო	7	გრეგუარ იაშვილი
ანდრეა დე როსი	6	გიორგი ჩხაიძე
მარკო ბორტოლამი	5	ვიქტორ დიდებულიძე
სანტიაგო დელაპე	4	ზურაბ მჭედლიშვილი
ლეანდრო კასტროჯოვანი	3	ალეკო მარგველაშვილი
ფაბიო ონგარო	2	აქვსენტი გიორგაძე
ანდრეა ლო ჩიჩერო	1	ავთო კოპალიანი
სათადარიგონი		
კარლო ფესტუჩია	16	გოდერძი შველიძე
რამირო მარტინესი	17	დავით დადუნაშვილი
კარლო ჩეჩინატო	18	ვანო ნადირაძე
მაურო ბერგამასკო	19	გია ლაბაძე
მანუელ კუეროლო	20	ირაკლი მოდებაძე
ვიჩენცო ზულო	21	დავით კიკნაძე
გერტ პიინსი	22	გოჩა ხონელიძე

ვუდვორდმა ზომეზი მიიღო, ფრანგებმა ზომა აიღონ

გასულ უქმეებზე მეორე ნაკრებით ფრანგებთან მარსელში 16:17 დამარცხების შემდეგ ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა მთლად ცოფები არა ჰყარა, მაგრამ ზედიზედ 15 გამარჯვების შემდეგ განცდილი მარცხი კი იწყინა — ფრანგების ძლევა მეორე ნაკრებითაც შეგვეძლო და ვალდებულებიც ვიყავითო.

ზვავივით აგორებული ინგლისელები მარცხებს რომ არ „შეეჩვევნონ“, ვუდვორდმა 6 სექტემბერს ინგლისში „თვიქნემზე“ გასამართი საპასუხო მატჩისთვის უჩაუქეს მოთამაშეებს უხმო, მათ შორის ჯონი უილკინსონს, მარტინ ჯონსონს და კიდევ სხვებსაც. ეგაა, ინგლისელებს ტრავმის გამო ვერ დაეხმარებიან მაიკ თინდელი, ლოურენს დალალიო, ჯეიმს სიმფსონ დანიელი და ფილ ვიკერი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „წითელი ვარდების“ 22-კაციანი საფრანგეთი სია მაინც ფრიად შთამბეჭდავია:

ჯეისონ რობინსონი, იან ბალშოუ, სტიუარტ ებოტი, უილ გრინვუდი, ბენ კოენი, ჯონი ვილკინსონი, კირან ბრაკენი, მარტინ კორი, ნილ ბეკი, რიჩარდ ჰილი, ბენ კეი, მარტინ ჯონსონი (კაპ) ჯულიან ვაიტი, სტივ ტომპსონი, ტრევორ ჯუდენი.

სათადარიგოები: დორიან ვესტი, ჯეისონ ლეონარდი, საიმონ შოუ, ლუის მუდი, მეტ დოუსონი, პოლ გრეისონი, ჯოშ ვორსლი.

თავის მხრივ საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა მოგებული გუნდი თითქმის მთლიანად შეცვალა:

კლემენ პუატერნო, ქსავიერ გარბაჟოზა, იანიკ ჟოზიონი, ბრაიან ლიბენბერგი, კრისტოფ დომინისია, ჟერალდ მერსერონი, დიმიტრი იაშვილი, კრისტიან ლაბიტი, პატრიკ ტაბაკო, სებასტიან შაბალი, ოლივიე ბრუზე, დავიდ ორადუ, ჟან ბატისტ პუ, რაფაელ იბანესი (კაპ) ოლივიე მილუ.

სათადარიგოები: სილვიან მარკონე, იანიკ ბრუ, ჟერომ ტიონი, ოლივიე მანი, იმანოლ არინორდოკი, ფრედერიკ მიშალაკი, ორელინ რუჟერი.

ინგლისი და საფრანგეთი ერთი კვირის წინ მარსელში...

ვატო დიჟონიც ვაკელია

ნაცვლიშვილმა და ბრაიკოვიჩმა საერთო ენა ვერ გამონახეს

ქართველთაგან ყველაზე მეტ ქვეყანაში ვახტანგ ნაცვლიშვილს უთამაშია. ამ მხრივ ის ნამდვილი მოგზაური სპორტსმენია: ამერიკა, ისრაელი, ბულგარეთი, პორტუგალია და... ახლა უკვე საფრანგეთიც. პორტუგალიური „ოლივეირენშეს" ქართველი ლიდერი ახლახან ფრანგულ „დიჟონში" გადავიდა და ორი კვირაა, ახალ კლუბთან ვარჯიშობს. დიჟონში ჩასულ ნაცვლიშვილს დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ, კარგა ხანია, გვსურდა, ჩვენს კლუბში გვეხილეო. მოკლედ, მოვუსმინოთ ნაცვლიშვილს...



— ზუსტად ორი კვირაა, ვარჯიშს შევუდექი. უმეტესად ფიზიკურად ვემზადებოდით და დარბაზში 2-3 დღის წინ, შევედით. მალე ამხანაგური ტურნირი გვეწყება და პურთიც ამიტომ მოგვცეს, თორემ აქამდე სულ ტრენაჟორებთან და სარბენ ბილიკებზე ვატარებდით დროს.

— ფიზიკურ დატვირთვებს როგორ უძლებ? ფეხის ტრავმას უჩიოდი...

— მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, მკურნალობა ძალიან მომიხდა. აქაურობასთან შედარებით, პორტუგალია კურორტად მეჩვენება. იქ სად იყო ასეთი დატვირთვები, „დიჟონში" ერთკვირიანი ჯოჯოხეთი გამოვიარე. ხანდახან იმ ჭკუაზე ვდგებოდი, კალათბურთს მივატოვებ-მეთქი. მაგრამ როგორღაც გავუძელი.

— კლუბში როგორ მიგიღეს?

— დიჟონის გარეუბანში, ერთ ლამაზ სახლში დამაბინავეს და მეორე დღეს პრესკონფერენცია მოაწყეს. მართალი გითხრა, ასეთ ყურადღებას არ ველოდი. ჟურნალისტები თურმე კარგად მიცნობდნენ, ბევრი ძველი გაზეთი მიჩვენეს ჩემი ფოტოებითა და სტატიებით.

— საიდან გიცნობდნენ ასე კარგად?

— წინა სეზონში ფიბა-ევროპის ტურნირზე „დიჟონი" და ჩემი ძველი გუნდი „ოლივეირენშე" ერთ ჯგუფში იყვნენ. დიჟონში რომ ჩამოვედით, მაშინ აქაურები ჩემით დაინტერესებულან.

— რა ნომრიანი მაისურით ითამაშებ? შენი საყვარელი ციფრი ხომ 13-ია...

— პრესკონფერენციაზე სწორედ 13-ნომრიანი მაისური გადმომცეს და პრესაშიც ასევე დაწერეს, ნაცვლიშვილმა ეს ნომერი აირჩიაო, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ეს ნომერი მგონი, რომელიღაც მოთამაშესია. თუ არადა, 14 ნომერი ვიქნები.

— რას იტყვი „დიჟონზე" და დიჟონზე?

— ასეთ მოწესრიგებული და პროფესიულ გუნდში ჯერ არ მითამაშია. რა შედარებაა „ოლივეირენშესთან", პორტუგალიელები დისციპლინით ფრანგებთან ვერასოდეს მივლენ. „დიჟონში" ყველაფერი ისეა, როგორც ევროპის წამყვან კლუბებში — უზარმაზარი დარბაზი, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, სერიოზული მწვრთნელი და ვარჯიშები. ქალაქი კი თბილისზე დიდი და პარიზზე პატარაა, ძალიან მყუდროა.

— მანქანასაც მოგცემდნენ. გარეუბნიდან ტრანსპორტით ხომ არ ივლი ვარჯიშებზე?!

— მანქანაც მომცეს, თუმცა ის გარეუბნის სახლი მაინც გამოვიცვალე. საცხოვრებლით კმაყოფილი კი ვიყავი, მაგრამ თბილისელების ამბავი არ იცი?! გარეუბანში ცხოვრება არავის უხარია. ჰოდა, კლუბის ხელმძღვანელებს ვთხოვე, ეგებ ქალაქის ცენტრში, დარბაზთან ახლოს მომცეთ-მეთქი ბინა. უარი არ უთქვამთ, დიჟონის „ვაკეში" ვცხოვრობ ოჯახთან ერთად.

— თანაგუნდელებს გაიცნობდი, რა ხალხია?

— რა თქმა უნდა, ყველა გავიცანი, მაგრამ არავის დავმეგობრებივარ. ისეთ გაწამაწიაში ვიყავით, თავისუფალი დრო სად გქონდა?! ღღესდღეობით გუნდში სამი ლეგიონერი ვართ: მე, ერთი ახალგაზრდა პოლონელი და ამერიკელი ცენტრი კევინ სიმიტი. ორსაც ველოდებით. „დიჟონის" კანადელ ლეგიონერ სტივ ბარეტს შვილი შეძენია და ჩამოსვლა დაუგვიანდა. აქაურებს დიდი იმედი აქვთ ამ კალათბურთელის. ბარეტმა კანადის ნაკრებში ითამაშა ახლახან პუერტო რიკოში დასრულებულ ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე. ალბათ, მალე ჩამოვა ვიქტორ სანიკიძეც. მას ვიზის პრობლემა შექმნია და მალე მოაგვარებს.

— სანიკიძეზე, რას ამბობენ „დიჟონში"?

— იციან, რომ ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდაა, სხვანაირად გუნდში არც აიყვანდნენ. მე ფრანგებს ვუთხარი, სანიკიძე ჩემთან შედარებით ბავშვია და მისი თამაში არ მინახავს-მეთქი.

— ენობრივი ბარიერსი თუ გაბრკოლებს?

— გუნდში არა და ქალაქში — კი. გუნდში ყველა ინგლისურად ვლაპარაკობი, მწვრთნელმაც შეანიშნავად იცის ეს ენა. [illegible] ყველა მწვრთნელი [illegible] ამბიცია და პრეტენზია გააჩნია, ინგლისურს უნდა ფლობდეს, რადგან ევროპაში უამისოდ ძალიან გაუჭირდება. აბა ი სა, ჩვენი ნაკრების თავკაცს ხორვატულის გარდა სხვა ენა რომ არ სცოდნია?! ბრაიკოვიჩი რომ გავიცანი, მეგონა, რამეზე დაველაპარაკებოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ხორვატიული არ ვიცოდი და ვერაფერი გავაგებინე.

— „დიჟონის" გარდა სხვა კლუბის ვარიანტი თუ გქონდა?

— ჩემს ძველ ებრაულ კლუბს ახლაც არ სჯერა, რომ დიჟონელი გავხდი. ისრაელიდან იმ დღეს დამირეკეს და იქ ჩასვლა, მთხოვეს. ვუპასუხე, ინტერნეტი მაინც არა გაქვთ, „დიჟონის" წევრი ვარ და ისრაელში რა მინდა-მეთქი.

— „დიჟონთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს?

— ერთწლიანი და თუ კლუბმა მოინდომა, კიდევ ერთი წლით დამიტოვებს.

— ჩანს, ყველაფრით კმაყოფილი ხარ, თუ მაინც ემდური რამეს?

— არაფერს ერთის გარდა: მომქანცველი ფიზიკური ვარჯიშებს. თავიდან ისე ვიღლებოდი, ერთი სასაცილო ამბავი შემემთხვა... ვარჯიშიდან მკვდარივით მოვედი და მანქანა „გარაჟში" დავაყენე. ჩემი კორპუსი ისეა მოწყობილი, რომ ავტომობილიდან ლიფტით პირდაპირ სართულზე ადიხარ. ველოდები ლიფტს, ველოდები... ვიფიქრე, არ მუშაობს-მეთქი და ფეხით ავედი. ჩემს სართულზე რომ გავჩერდი, მეზობელი ლიფტიდან გამოვიდა. ისე ვიყავი დაღლილ-დაქანცული, თურმე ღილაკისთვის ხელი არ დამიჭერია.

ირაკლი პერტაია

ევროპის ჩემპიონატი შვედეთი. 5 - 14 სექტემბერი

ასეთი გუნდით ტრაბახი ღირს

პაუ გასოლი ოქროს გასცქერის

პაუ გასოლი ევროჩემპიონატს კარგ ხასიათზე ხვდება

ევროჩემპიონატის ოთხივე ჯგუფი მეტ-ნაკლებად თანაბარია, მაგრამ თუ გამორჩევაა, სერბეთ-ჩერნიგორიის, რუსეთის, ესპანეთისა და შვედეთის ჯგუფი მაინც სხვებზე ძლიერად ჩაითვლება. პირველ სამ გუნდში ნბა-ს არაერთი ამომავალი თუ უკვე ანთებული ვარსკვლავი თამაშობს. გთავაზობთ ამათგან ერთ-ერთი გამორჩეულის, „მემფისის" პაუ გასოლისა და ესპანეთის ნაკრებში მისი მწვრთნელის, მონჩო ლოპესის საევროჩემპიონატო ფიქრებს...

— ესპანეთის ნაკრები ახლახან ლიტველებთან ამხანაგურ მატჩში დამარცხდა. წაგებამ ხასიათი ხომ არ გაგიფუჭათ?

ლოპესი: გამოთქმა არსებობს, რომ წაგებით სწავლობენო, მაგრამ მე მოგებით სწავლას ვამჯობინებ. ლიტვასთან მატჩში ჩვენი სუსტი მხარეები გამოჩნდა, თუმც ეცდებით, ოფიციალურ თამაშებში იგივე აღარ დავუშვათ. მთლიანობაში კი, ესპანეთმა კარგად ითამაშა, მაგრამ მაინც დამარცხდა, რასაც იმას დავბრალებ, რომ ერთი დღეა, შვედეთში ჩამოვედით და ადაპტაცია გჭირდება.

ბასოლი: მეც მგონია, რომ მოგებით ჯობს სწავლა, თუმც ისიც მართალია, რომ ლიტვასთან წაგება სასიკეთოდ წაგვადგება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ არც ერთ მატჩში არ გვეპატიება ყურადღების მოდუნება. ყოველ წამს ფხიზლად უნდა ვიყოთ, თორემ დამარცხებები არ აგვცდება.

— რას იტყვით თქვენს ჯგუფზე?

ლოპესი: ძალიან ძლიერი ჯგუფია. სხვათა შორის, ბევრი სწორედ ესპანეთს მიიჩნევს უპირველეს ფავორიტად. ჩემი აზრით, შვედეთის გარდა სამივე ნაკრებს თანაბარი შანსი გვაქვს. მხოლოდ პირველ მატჩში, შვედებთან შეგვიძლია დამშვიდებით გავიდეთ მოედანზე, მერე კი... რუსებს ჰყავთ ნბა-ს მზარდი კალათბურთელი ანდრეი კირილენკო და მათ რეალურად შესწევთ ჯგუფში ყველა მეტოქის დამარცხება. სერბეთი კი ალბათ ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ჩემპიონების შემადგენლობა მნიშვნელოვნად კია შეცვლილი, მაგრამ ბოდიროგას და ტომაშევიჩს კარგი შემცვლელები ჰყავთ გუროვიჩისა და ვუიანიჩის სახით.

— ესპანეთის შანსებზე რას იტყვით, პაუ?

— ვფიქრობ, ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ნაკრები გვყავს, მოთამაშეებს დიდი პოტენციალი გვაქვს და მოედანზე შეთამაშებულებიც ვართ. თუ ძალიან მოვინდომებთ და იღბალიც წაგვეშველება, ჩემპიონობაც შეგვიძლია.

— პაუ, ყურადღების ცენტრში იქნები და ეს უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს შენს თამაშზე?

— არა, კარგა ხანია, ზეწოლას შევეჩვიე. მე კარგად ვიცი, თუ როგორ ვუჩვენო მაყურებელს ის, რაც ყველაზე კარგად შემიძლია. თამაშების სიმძაფრე დიდ მოტივაციას მანიჭებს. ვიცი, რომ წინ დიდი ბრძოლები მელის ღირსეულ მეტოქეებთან და წარმოიდგინეთ, ეს მახარებს კიდეც.

როდმანი, როდმანი?

გიჟი, ლოთი და შფოთი



ჩვენში ხშირად შეხვდებით ისეთებს, გალეშილი საჭესთან დასკუპება და მანქანით ალმა-დალმა ქროლვა რომ ევაჟკაცებათ. სამგიეროდ, თითქმის ვერსად ნახავთ იმნაირ ხუშტურიანს, ბახუსთან დამშობილებულს იახტით ტალღების სერვა უხაროდეს. უბრალოდ, ჩვენში იახტები მხოლოდ ისეთებს ჰყავთ, მთვრალს კი არა, ფხიზელს რომ ვერ ნახავ მარტოს ქუჩაში გამოსულს. მთვრალ მდგომარეობაში წყალზე ჯირითის მოყვარულები შორს, დასავლეთში ცხოვრობენ და ასეთია დენის როდმანი, ოდესაც დიდი მომხსნელი, ახლა კი კალათბურთით ნაშოვნი მილიონების დარდიმანდულად მხარჯველი ციხისკაცი.

სწორედ რომ ციხისკაცი, რამეთუ როდმანი გუშინწინ გამოუშვეს ვირჯინების აბანოდან, სადაც ორიოდ დღე სწორედ მთვრალ მდგომარეობაში იახტით ნავარდობისთვის ჩაეყუდეს.

პოლიციაში მავანს დაურეკავს, აგერ, ახლა როდმანს ვხედავ, უღმერთოდ გალეშილი თავისი იახტის აშენებას ცდილობსო. ჯორდანის ყოფილი თანაგუნდელი ისეთი მთვრალი ყოფილა, საკუთარ შხუნის აშენება მიწაზე ერთ-ორ წაკოტრიალებად დაჯდომია. 42 წლის როდმანმა ბოლოს და ბოლოს ახსნა თოკები და საკუთარი იახტა კალიფორნიის ჭრელა-ჭრელა პლაჟებს გაუყოლა, ვინმე ქალს თუ ეძებდა.

როდმანი ზედ პლაჟთან მდებარე საკუთარ რესტორანში გამომთვრალა. ეს ის რესტორანია, შარშან ხანძარი რომ გაუჩნდა როდმანის მთვრალი ძმაკაცის დაბდურობის გამო.

საერთოდ, როდმანის ბაირამობა იმ ალაგებში მიღებული ამბავია. ემანდ რამე მაჩაძალლობები ხომ არ ხდებაო, ნიუპორტ ბიჩის პოლიცია 70-ჯერ სწვევია როდმანის სახლს, როცა იქ ორგიები და ღრიანცელი ყოფილა ეაჩაღებული.

ამ ბოლო შემთხვევისას როდმანი გვარიანად დაუჯარიმებიათ და სატუსაღოდან ჯანსაღი ცხოვრების შესახებ ლექციაწაკითხული გამოუშვიათ. ჰაერზე გამოსულ დენისს ესღა უთქვამს, სიმთვრალემ კი არა, უკან-უკან სიარულმა წამაქცია პლაჟზეო.

ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ᲬᲧᲐᲚᲛᲐ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ

ᲩᲝᲒᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲐ, ᲩᲝᲒᲡᲐᲪ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ

იუნეს ელ აინაუმ თავისი მესამე ვაჟის დაბადება ასე აღნიშნა



ჯენიფერ კაპრიატი ნახევარფინალში შეიპრა

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲠᲔ

ᲙᲐᲪᲘ ᲑᲘ

ᲓᲐᲕᲘᲓ ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ (13, არგენტინა) — **როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) 3:6, 7:6 (7:1), 6:4, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — **ტოდ მარტინი** (აშშ) 6:2, 6:4, 3:6, 5:7, 6:3; **გი[illegible] ლეარმო კორია** (5, არგენტინა) — **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) 6:2, [illegible]:3, 4:6, 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** ([illegible], ავსტრალია) — **პარადორნ შრიჩაფანი** (11, ტაილანდი) 4:6, 6:2, 6:4, [illegible]:2; **იუნეს ელ აინაუი** (22, მაროკო) — **კარლოს მოია** (7, ესპანეთი) 7:6 (7:4), 7:6 (9:7), 4:6, 6:4; **სხენგ შალ[illegible]ჰენი** (12, პოლანდია) — **რაინერ შუტლერი** (8, გერმანია) 6:1, 4:6, 6:3, 6:4

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲠᲔ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲛᲘᲡᲙᲘᲜᲐ ([illegible]7, რუსეთი) — **მარი პირსი** (საფრანგეთი) 7:6 (7:2), 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე** (29, იტალია) — **აი სუგიამა** (15, იაპონია) 6:7 (5:7), 7:5, 6:2

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲙᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ ([illegible], ბელგია) — **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) 6:1, 6:4; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (2, ბელგია) — **მისკინა** 6:2, 6:[illegible]; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — **პაოლა სუარესი** (24, არგენტინა) 6:4, 6:0; **ჯენიფერ კაპრიატი** ([illegible], აშშ) — **სკიავონე** 6:1, 6:0

ახსენეს თუ არა გაუოცავებელი წვიმიანობით გაბეზრებულმა ნიუიორკელებმა თერძი ბესონ გრძნეული სახელი, მსოფლიო სატენისტოს ჩერაპუნჯობასაც წერტილი დაესვა — თერძმა ქალაქის თავზე მორღვეული სასველოსნო აპკი გინეკოლოგის სიჩაუქით გაკეცა და წლის უკანასკნელ სლემტურნირზე შეკრებილი ჩოგან-მეჩოგნეები კორტების წიაღს მიუბრუნდა.

მიუბრუნდა და რაც კი ოცრშაბათის მერე ჩაუთამაშებელი [illegible]არჩენოდა, ყველაფერი ჩაითამაშა.

წყვილთა და იუნიორ-სენიორთა აურაცხელ განდაგანებს გვერდზე თუ გადავდებთ — და სხვანაირად ვერც მოვიქცევით — მიმოსასვლელი და განსაჩხრეკი მხოლოდ თორმეტი მატჩიდა დაგვრჩება, 6 კაცთა მხარეზე, ერთი ამდენივეც — მდედრიონში.

თუკი მეორეგან მოულოდნელი არაფერი მომხდარა, კაცთა შორის ერთბაშად სამი ზრვეულელი წამოაქციეს.

ამ წამოქცევათაგან ყველაზე რეზონანსული და შთამბეჭდავი მეორე ნომრად განთესილი როჯერ ფედერერის ძლევა გახლდათ. წლეულს ხუთი ტიტულის მომნაგვრელი და უიმბლდონურ სეფეკინდარზე კარიერის პირველი სლემტიტულის მომხვეჭი ალპელი უიმბლდონის შარშანდელმა ფინალისტმა, მისდარად ყველა საფარზე თანაბრად მოჩოგნავე დავიდ ნალბანდიანმა აოტა.

ეს მათი მეხუთე შეხლა იყო და 21 წლის არმენოგაუზომ თავისკბილა ფედერერს უკვე მეხუთედ სძლია. ამ ხუთიდან სამი მოგება მიმდინარე სეზონზე მოდის, წინა ორ ჯერზე კი შვეიცარიელი მან გასულ სეზონში მოთელა. თუკი ამას აშშ-ის 1998 წლის იუნიორთა ღია პირველობის ფინალში ძლევასაც დავურთავთ, გამოდის, რომ ნალბანდიანი ფედერერისთვის ძალზედ უხერხული მეტოქეა.

დიახ, ზორბა ალპელს, ვინაც წლევანდელი წარმატებული [illegible]ალაბობისა და თიხნარობის შემდეგ ეგრეც ვერ შეძლო, სამაგარსაფრო კორტებზეც ისევე თავდაჯერებულად და უნაკლოდ ეთამაშა, იმ დღეს არც მეტოქისთვის გასაცემი პასუხები აღმოჩნდა და არც ჟურნალისტებისთვის. მატჩის მსვლელობისას მან 62 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც მძლავრად და ზუსტად მოკონტრიერებულ მეტოქესთან დასამარცხებლად საკმარისზე მეტიც იყო.

აზრზე არა ვარ, რა უნდა მოვუხერხოო, ამბობდა ის ნამატჩევს და, წარმოდგენა არა მაქვს, ამ მატჩზე რა უნდა გითხრათო, ისე ამატებდა.

თუმცა მასზე მკაფიო და გონივრული მოსაზრებები არც თავის პირველ საფლეშინგმედოუზო მეოთხედფინალში გასულ ნალბანდიანს გამოუთქვამს. ძლეული მეტოქის მსგავსად ისიც საკმაოდ დაბნეული ჩანდა:

„ეტყობა, მისი თამაში ჩემთვის ზედგამოჭრილია. ოღონდ, ვერ გეტყვით — რატომ.“

„ისე კი, მე უკვე ყველაფრისთვის მზად ვარ — დასძენდა ის — დრო, ჩემზეც ისე დაიწყონ საუბარი, როგორც ფავორიტზე.“

მეოთხედფინალში ქერა არგენტინელს შავხუჭუჭა მაროკოელი იუნეს ელ აინაუი დაეჯახება. 31 წლის მაღრიბელმა, ვინაც იქაური პუბლიკის გული შუშპარა და მჩქეფარე ჩოგნაობით მოიგო, ზედიზედ მეორე წელია, აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში გადის.

უკანასკნელ რვეულში მოსახვედრად მას ამ ჯერზე მსოფლიოს ოდინდელი ესპანელი პირველოსნის, ნატიფი კარლოს მოიას ძლევა მოუხდა. საკუთარი ეგზოტიკური ოსტატობის გარდა ელ აინაუის ზორბად შეეწია ფანია შემგულიანებელი ყიჟინაც, რაც იქ ამერიკელთა გარდა ძვირად თუ ვინმეს ერგება ხოლმე.

„მილეთი ისე შშაგად მქომაგობდა, კარლოსს ბოდიშიც კი მოვუხადე — ამბობდა ნამატჩევს მაროკოელი — მაგრამ მან მითხრა, რომ ყველაფერი კაცურად იყო.“

მას შემდეგ, რაც გადამწყვეტი ქულა მოიგო, ელ აინაუმ თავისი ჩოგანი გულში ჩაიკრა და ჩვილი ბავშვივით დაანანავა — ნიუ იორკში რომ ზეციური წყლები იღვრებოდა, იუნესის კასაბლანკაში მშობიარე მეუღლემ მას მესამე ვაჟი აჩუქა. მორიგი საარაკო გამარჯვებაც მამამ სწორედ თავის უმრწემეს ბიჭუკელას მიუძღვნა...

ახლა სხვებზეც.

როგორც იქნა თავის საამსეზონო სლემვაინაჩრობას ალიკაპი ამოსდო და წლის პირველ სლემმეოთხედფინალში გაიკაკა ამქრის ბოლოსწინანდელმა პირველოსანმა ლეიტონ ჰიუიტმა.

იმის მიუხედავად, რომ პარადორნ შრიჩაფანმა მის წინააღმდეგ აგრესიულად დაიწყო და ერთი სეტიც მოიგო, მერე ყველაფერი ლოგიკურ კალაპოტში ჩადგა — ფეხმარდი ოზბიჭის სტაბილურ ნაუკანახაზეე გლაჯუნს რწმენაშერყეულმა ტაილანდელმა უამრავი შეცდომით უპასუხა და პირველი მოწოდებიდან 2 საათისა და ოცი წუთის თავზე დანებდა კიდეც.

აღსანიშნია, რომ ჰიუიტი, ვისაც წლის უკანასკნელი სლემტურნირი 2001 წელს მოუგია, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში იქ სულ მცირე მეოთხედფინალამდე მაინც აღწევს.

ჩემპიონთა რბოლის ზეოცეულის შუაწელზე გაჩხერილს, მას აუცილებლად სჭირდება ფლეშინგმედოუზურ კორტებზე წარმატება, რადგანაც წლის დამაგვირგვინებელ ჰიუსტონურ მასტერსთასზე გამოსვლის შანსს აქ გამარჯვების შემთხვევაში მიღებული 200 ქულა თუ დაუნარჩუნებს.

იმედიანად ის ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე იყო. პირველი წრეების შემდეგ კი ამბობდა, რომ — თუკი მეოთხედფინალამდე მისვლა აცალეს, მერე მისი გაჩერება ყველას გაუჭირდება. „მე ვიცი, როგორ უნდა ამ ტურნირის მოგება და იმიტომ“ — ამბობდა ის ერთი კვირის წინ.

მაგრამ ნაწვიმევს ეს ამოცანა ძალიან გართულდა — ტიტულის მაძიებლებს ახლა უკვე ყოველი მორიგი მატჩის დღისჩაუგდებლად გამართვა მოუწევთ. ესე იგი, ხუთშაბათიდან თუ ავითვლით, ფინალამდე მიღწეულნი ბოლო ოთხ შეხვედრას ზედიზედ ოთხ დღეში გამართავენ. ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში იქნებიან ანდრე აგასი და ენდი როდიკი, რომელთაც თავ-თავიანთი სამეოთხეწრეო შეხვედრები, შესაბამისად, სამშაბათსა და ოთხშაბათს ითამაშეს.

ჰიუიტის ამოცანას ისიც ართულებს, რომ მეოთხედფინალში მას უნიჭიერესი და უბასრესი ესპანელი, ფლეშინგმედოუზურ მაგარსაფართან აწ უკვე რივიანად გაჩვეული ხუან კარლოს ფერერო შეეხლება.

წლევანდელი როლანგაროსობის გამარჯვებული აშშ-ის ღია პირველობაზე წლეულს მეხუთედ გამოდის, მაგრამ მეოთხე წრის გაღმა გასვლა მხოლოდ პირველად მოუხერხდა. საამისოდ მას 33 წლის ამერიკელის, ტურნირის 1999 წლის ფინალისტ ტოდ მარტინის მორჯულება დასჭირდა. თუმცა, ანგარიშიდანვე დააჭყობთ, ამის გაკეთება არც ისე იოლი საქმე იყო.

სხვაფრივ: ანდრე აგასის სამეოთხედფინალო მეტოქედ გილერმო კორია ერგო, ენდი როდიკს კი — სხენგ შალკენი.

21 წლის უნიჭიერესი გაუჩო და მისი სიყრმის შებერებული კერპი წლეულს ერთმანეთს უკვე მესამე სლემტურნირზე ხვდებიან. პირველად მათ ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში იპაექრეს, მაგრამ კორიამ ტრავმის გამო მატჩი ბოლომდე ვერ მიიყვანა. მეორედ კი ბადემ ერთმანეთს ისინი როლანგაროსულ მეოთხედფინალში შეყარა და ამ ჯერზე კორიას აგასის ტრავმიანობა არ დასჭირვებია — საღსაც დაუნდობლად ჰგვემა.

იმავის გამეორებას იქადნის ის ახლაც: „მართალია, მას უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ არა - კორტზე. ეს როლან გაროსზეც ვაჩვენე და არც მშობლიურ სარბიელზე მოვერიდები.“

იოლი გასეირნება არც ენდიბოის უნდა ელოდოს, რაკიღა სხენგ შალკენი შარშანდელი ნახევარფინალისტია და ფლეშინგმედოუზურ კორტებს „შენობით“ მიმართავს. წლეულს საუცხოოდ მოთამაშე გერმანელ შუტლერს შალკენმა განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე აჯობა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ თავის ზედიზედ მესამე ამერიკულ მეოთხედფინალში გასულ როდიკს მონრეალური მასტერსტურნირიდან მოყოლებული უკვე 16 მატჩში არ წაუგია. ეს ამქრის საამსეზონო რეკორდია და ენდიბოი ამ რეკორდის გამყარებას ლამობს...

რაც შეეხება მდედრიონს, აქ მოულოდნელი არაფერი მოშხდარა, ნახევარფინალებში ისინი დაწყვილდნენ, ვის დაწყვილებასაც მოველოდით კიდეც — ზედიაკი კიმ კლაისტერსი ლინდსი დევენპორტს შეერკინება, ზლმურდლიანი ჟუსტინ ენენ-არდენი კი ჯენიფერ კაპრიატის გამოცდის.

ბუთქუნა კიმი მოულოდნელად იოლად მოერია ამელი მორესმოს — ეს მათი მეექვსე საკარიერო შეხლა იყო და თავისი პირველი სლემტიტულისთვის მონადირე ბელგოგო ჯანიან ლესბოსელს უკვე 4:2 უგებს.

ანგარიშებიდანვე მიხვდებით, რომ კიმზე უფრო რთული ამოცანები იმ დღეს არც დანარჩენ ფავორიტებს ამოუხსნიათ. კაპრიატისა და ენენს კი სულაც იმ დღეს უკვე ნათამაშებ გოგონებთან ბაირამობა ერგოთ — იტალიელმა სკიავონემა და რუსმა მისკინამ, სანამ მათთან საბუქნაოდ გავიდოდნენ, თავ-თავიანთი სამეოთხეწრეო შეხვედრები გაასრულეს. კაპრიატისა და ენენის ტოლსწორ მეტოქეებად ისინი მანამდეც არ მიიჩნეოდნენ, თითო-თითო მატჩგადატანილებს კი, აბა, რა უნდა გაეხერხებინათ.

ჰოდა, ვერც გაახერხეს.

ნახევარფინალებიც ამიტომ ამერიკულ-ბელგიური გვექნება.

ამასთან — თუკი 27-27 წლის მასპინძლები უფრო გამოცდილები და უფრო დრანცულები არიან, მათი ბელგიელი მეტოქეების უსათუო პლუსებად შედარებითი სინორჩე, ყუმბარფორმა და აგრესიულობა უნდა ვიგულოთ.

თუ რომელი გადასძალავს ამ თაიგულებიდან, ამის შესახებ ალბათ სამშაბათს გავისაუბრებთ, მანამდე კი ორიოდ წვრილმანსაც მოგაგონებთ:

ბელგოგოთათვის ეს მათი პირველი ფლეშინგმედოუზური ნახევარფინალები იქნება, ჯენიფერარი უკანასკნელ ოთხეულში ორჯერ, 1991 და 2001 წლებში შეგორებულა, ლინდსი დევენპორტი კი ტურნირის 1998 წლის ჩემპიონია.

სხვათა შორის, ლინდსის შემდეგ ტურნირს მხოლოდ შავდა უიღლიამსები იგებდნენ — 1999 და 2002-ში სერენა, სერენას წლებს შორის კი — ვინუსი.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

იმ ვაჟკაცის ხსოვნისა იყოს!

ხელბურთელებმა ტურნირი გამართეს



მასპინძელი გუნდების მატჩს სიმწვავე არ აკლდა

ვაჟას მეგობრებისა და ოჯახის ფოტო

სასიამოვნო მოულოდნელობა ჩვენს ულიმღამო სახელბურთო ყოფაში — საქართველო საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს.

გუშინ თბილისში დაიწყო ვეტერანი ხელბურთელის, გიორგი სადრაძის ხსოვნის შეჯიბრი. გიორგი წლების მანძილზე თბილისის „ბურევესტნიკსა“ და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა. ორიოდე თვის წინ, 35 წლისა გარდაიცვალა. მის ყოფილ თანაგუნდელებს მეგობრის სახელობის ტურნირის გამართვის აზრი დაებადათ და მართალია, არაერთ ორგანიზაციულ სიძნელეს წააწყდნენ, თავი არ შეურცხვენიათ და არმიის სპორტული კლუბის დარბაზში მშვენიერი ასპარეზობა გაჩაღდა.

სამდღიან ბრძოლაში ჩაებნენ საქართველოს 13-გზის ჩემპიონი, ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენი“, ხელბურთის კლუბ „თბილისისა“ და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მამულის“ მოთამაშებით დაკომპლექტებული თბილისის ნაკრები, თურქეთის უმაღლესი ლიგის მეოთხეადგილოსანი, ტრაბზონის „ბელედიესფორი“ და აზერბაიჯანის ნაკრები.

„ბელედიესფორი“ ავტობუსით თბილისში გუშინწინ გამთენიისას ჩამოვიდა, მოთამაშეებმა, ცხადია, გამოძინება ვერ მოასწრეს და აზერბაიჯანელებთან შუადღისას დანიშნულ სასტარტო მატჩში საკმაოდ ინერტიულად გამოიყურებოდნენ. თანაც, როგორც თურქთა აზერბაიჯანელმა მწვრთნელმა ალიბალა მამედოვმა გვამცნო, გუნდს ტრავმების მიზეზით სამი წამყვანი წევრი ვერ ჩამოჰყვა. არცაა გასაკვირი, რომ ალიბალას ბიჭებმა მეტოქეს თანაბრად სულ ათიოდე წუთი გაუძლეს, მერე კი აზერბაიჯანის ჩემპიონ ბაქოს „დინამოსა“ და მეორე დედაქალაქურ კლუბ „სპარტაკის“ მოთამაშეებიანმა ნაკრებმა ხელთ იგდო უპირატესობა და ტაიმი ოთხი ბურთით მოიგო — 13:9, საფინალო სასტვენის წინ კი სხვაობა გააორმაგა — 34:26. გამარჯვებულთაგან შედეგიანობით გამოირჩნენ ძმები სერგეი (გაიტანა 10 გოლი) და ოლეგ (8) გეორგიევსკები, ხოლო თურქთა უკრაინელმა ლეგიონერმა მაქსიმ პერებეინოსმა და ტუგაი ბაირაკმა ხუთ-ხუთი შედეგიანი ტყორცნა მიითვალეს.

აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჰიკმეტ აბდულაევი ძლიერი მეტოქის ძლევით, ბუნებრივია, კმაყოფილი იყო: „ასეთი უპირატესობით მოგებას არ ველოდი, მითუმეტეს, რომ თბილისში ვერ ჩამოვიდა ძირითადი შემადგენლობის ხუთი მოთამაშე, რომლებიც გერმანიის, თურქეთისა და ირანის კლუბების ღირსებას იცავენ. ჩვენი გუნდი ემზადება „ჩელენჯ ტროფის“ ექვსნაკრება ჩემპიონატისთვის, რომელიც წლის ბოლოს მალტაზე მოეწყობა.“

უფრო ახლო გეგმები აქვთ მასპინძელ კლუბებს — მათ ოქტომბერში ევროთასების მატჩები ელით. საქართველოს უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენს“ თბილისის ნაკრების სახით ძლიერი მოწინააღმდეგე კი ჰყავდა, მაგრამ მოგება არ გასჭირვებია — 28:25 (15:9). ვეტერანმა ალეკო ბოყოჩაძემ აიჯერ გაიტანა, დამარცხებულთაგან საუკეთესო გიორგი წივწივაძე მას ერთი გოლით ჩამორჩა.

დღეს 11 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან „სტუ-შევარდენი“ და აზერბაიჯანის ნაკრები, შემდეგ „ბელედიესფორი“ და თბილისი, ხვალ კი დასკვნითი ტურის მატჩებია: „სტუ-შევარდენი“ — „ბელედიესფორი“, აზერბაიჯანი — თბილისი.

ზია ახალაძე

US OPEN 2003



REUTERS ნიუ იორკიდან

ამერიკის ღია პირველობაზე ლეიტონ ჰიუიტის ჩოგნაობა ხუან კარლოს ფერეროს შეწყვიტა

კაცები

მეოთხედფინალი

ენდი როდიკი (4, აშშ) — სხენგ შალკენი (12, ჰოლანდია) 6:4, 6:2, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) 4:6, 6:3, 7:6, 6:1; **ანდრე აგასი** (1, აშშ) — გილერმო კორია (5, არგენტინა) 6:4, 6:3, 7:5

ევროპის ჩემპიონატი შვედეთი. 5 - 14 სექტემბერი



ევროპირველობის საწყის ტურში ფრანგებმა ბოსნიელ ები გადათელეს

A ჯგუფი

სლოვენია 77:67 იტალია

საფრანგეთი 98:76 ბოსნია

B ჯგუფი

გერმანია 86:81 ისრაელი

ლიტვა 92:91 ლატვია

ძირითადი დრო 81:81

C ჯგუფი

რუსეთი 95:80 სერბეთი

ესპანეთი 99:52 შვედეთი

D ჯგუფი

თურქეთი 77:69 უკრაინა

საბერძნეთი 77:76 ხორვატია



REUTERS ბრიუსელიდან

მოზამბიკელმა მარია მუტოლამ წუხელამ „ოქროს ლიგის“ მეექვსე ეტაპიც მოიგო და იმ წამსვე ჩაბუტეს 1000 000 დოლარის სანუკვარი ჩეკი



REUTERS ვაშინგტონიდან

ᲐᲥ ᲡᲣᲚᲚ ᲨᲝᲣ-ᲢᲐᲘᲛᲘᲐ

ვაშინგტონში ერთი ლამაზი წარმოდგენა ცეკვა-თამაშით გაიხსნა ამერიკული ბურთაობის სეზონი. საკუთრივ შეხვედრაში „ფედექს ფილდზე“ დედაქალაქის „რედსკინზი“ ნიუ იორკის „ჯეთსს“ მასპინძლობდა, მაგრამ უფერადოვნესი იყო შოუც, რომლის დროსაც ბრიტნი სპირსმა ბურთაობის სამოსში გამოწყობილ ბალეტთან ერთად გასწია ცეკვა-თამაში და სხეულების ეროტიკული ტორტმანი. ნამდვილი სიმღერა კი დიად და უბერებელ არეტა ფრანკლინისა იყო, ვისი ხმაც ამ ფოტოს შემხედვარე ნამდვილად გაიგონებთ.



REUTERS ვაშინგტონიდან

ᲠᲝᲘ ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

აი, რა აშბავია კენიის დედაქალაქ ნაირობის გარეუბან კოროგოჩოში. მსოფლიოს ყველაზე მაგარი მოკრივე და ახლა მძიმე წონის (ვბა) ჩემპიონი როი ჯონსი იქ ჩასულა და შიდსის წინააღმდეგ ომის დაწყებას აცხადებს. 32-მილიონიან კენიაში 2 მილიონზე მეტ ადამიანს ეს საშინელი დაავადება სჭირს.



REUTERS ნაირობიდან

ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ

აი, უსიამო ამბავი ტურ დე ფრანსის ხუთგზის მოძგებ ლენს არმსტრონგის ცხოვრებიდან. ველოსიპედის მეფე თავის სამშვილიან ოჯახს ანგრევს და ცოლ კრისტინს ეყრება. თუმცა კი, არმსტრონგს უთქვამს, კარგ ურთიერთობებს შევინარჩუნებთ, ოღონდ, ცოლ-ქმარი აღარ ვიქნებითო.

REUTERS ნიუ იორკიდან

ᲬᲕᲘᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

ფლეშინგ მედოუზის წვიმებმა ჩოგბურთელებს რომ გასართობი აძებნინა, ცნობილი ამბავია. აი, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი მინი გოლფს მისდგომია, ესპანელი ხუან კარლოს ფერერო კი მაგიდის ფეხბურთს.





REUTERS ნიუ იორკიდან

ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროფჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტო რეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილა, ეკა ინასარიძე, პატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახალელიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge